

საქართველოს



იმისთანა ქმინდა საცემში,
ბეჭდის ბეჭდით სიფყვას,
ცყილებით და ჭებობით ბუბის
გაცანა ყველა უკადრისდაზგი
უსამაგლესია.



დაარსებულია
1918 წელს.



სამშაბათი, 28 მაისი, 2013 წელი.

№97 (7224)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



ნომრის კარიკატურა

ნაციონალები:
ჩვენ ერთი გუნდი ვართ!..

უდიდესი საფრთხე,
რაც კი აქამდე აღამის
მოდგმას დაემუქრებინა

6

მე სილს დაგნაგებ, შენ დაღამი
და ამბკიხე შენი სიმართლა

4

ეს კანონსაც ეწინააღმდეგება
და წესდებასაც!

2

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის განცხადება

მიხეილ სააკაშვილს
სარდლობაზე
უარი უთხრეს

8

ვერ გავიგებ,
ვინ არის უმრავლესობა
და ვინ – უმცირესობა

4



მერაბ კოსტავას ბიუსტი
ზვიადის გვერდით
მანანა არჩვაძემ
არ დაადგმევინა

2

მაშინაც წვიმდა...
მაშინაც 26 მაისი იყო,

3



ანუ დემოკრატიის
ნაციონალიზმად

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავებან ვერ ნახავ!..

საზოგადოება

ეს განიხილავს ევროპული კავშირის და წესდებას!

საქართველოს მხარეთა კავშირის გახსნის განხილვა

საინფორმაციო საშუალებებით, 23 მაისს (იმედი, რუსთავი-2, მანეთი), თამაზ წიგნივაძემ განაცხადა, რომ ის 22 მაისს ბირჟის მხარეთა კავშირის თავმჯდომარედ. მსგავსი განცხადება აბსურდულია და არ შეეძლება სინამდვილეს, რადგან ის ეწინააღმდეგება კანონს „შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ და საქართველოს მხარეთა შემოქმედებითი კავშირის წესდებას. საქართველოს მხარეთა კავშირი (რეგისტრირებული იუსტიციის საინსტრუქციის მიერ 2009 წლის 30 ივნისს, ბრძანება №120) არის 1917 წელს დაფუძნებული მხარეთა ორგანიზაციის ტრადიციის გამგრძელებელი და განვლილი აქვს რეგისტრაციის იურიდიული პირის უფლება-მოვალეობის წესით.

ა) წესდების თანახმად, კავშირის თავმჯდომარეს ირჩევს კავშირის უმაღლესი ორგანო – ყრილობა, რომელიც მოიწვევა

სხუთ წელიწადში ერთხელ გამგებობის მიერ;

ბ) ყრილობა უფლებამოსილია, თუ რეგისტრაციის გაივლის კავშირის წევრთა ნახევარზე მეტი;

გ) თავმჯდომარედ არ შეიძლება არჩეულ იქნას ორგანიზაციის არაწევრი.

მხარეთა 120-კაციანი ჯგუფს, რომელთაგან ნახევარზე მეტი არ იყო კავშირის წევრი, არ ჰქონდათ არჩევნების ჩატარების უფლება. ვერც თამაზ წიგნივაძე განხილავდა თავმჯდომარედ, რადგან ის 2004 წლიდან არ არის მხარეთა კავშირის წევრი.

ასევე, კრებაზე დამსწრე მხარეთა კავშირის წევრებს გვინდა, განვუმარტოთ, რომ თუ 22 მაისს შეიქმნა ახალი ალტერნატიული მხარეთა კავშირი (და არა აკადემია), მაშინ მისი ორგანიზაციის წევრები ვერ იქნებიან, ამავდროულად, ტრადიციული მხარეთა კავშირის წევრები, რადგან ეს მოქმედება ეწინააღმდეგება წესდებას.

მამხალა გონაშვილი – საქართველოს მხარეთა კავშირის თავმჯდომარე; **რამაზ მთვალეძე** – საქართველოს მხარეთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; **ბაბუნა ბარბაქაძე** – მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **დავით თედიაშვილი** – აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **თამარ ლანჩავაძე** – ქუთაისის და იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე; **ჯემალ ინიანი** – შიდა ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **მარინა ცხეველი** – რუსთავისა და ამავე ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **პატიმარია ბერიძე** – სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **ზარნაზ რაინაშვილი** – თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **თამაზ ხმალია** – სიღნაღის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **ნელი ჩაბაძიანი** – ცხინვალის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **ჯანსუღ ჩარბიანი**; **დავით ტაბაძე** – საქართველოს მხარეთა კავშირის მდივანი; **გურამ გონაშვილი**; **სოსო სიგუა**; **ზაზა ბოტიანი**; **მურმან თავაძე**; **ნოდარ ტაბაძე**; **ახალი ბრძანაძე**; **გულმ კობახიძე**; **ბადრი მუთათელია**; **მამუკა დოლიძე**; **ზურაბ თორია**; **იმა მუხრანბეგია**.

სახალხო ზიმი ზუგდიდში

საბარტოვილის ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღე ზუგდიდში გამორჩეულად აღინიშნა – დილით, წირვის დასრულების შემდეგ, ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ზუგდიდის საკათედრო ტაძარში მერაბ კოსტავას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი მამა-გიორგი ქავთარაძემ გადაიხადა. შემდეგ ქალაქის ცენტრალური პარკის შესასვლელთან, დადიანების სასახლის უკან მერაბ კოსტავას ბიუსტი გაიხსნა, ხოლო ზუგდიდის გამგებობის წინ, პირველი სამუსიკო სკოლის დარბაზში რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრისა და ამავე რაიონის ხალხური ანსამბლის მონაწილეობით მერაბ კოსტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურული წარმოდგენა გაიმართა.

უსტი საზეიმო ვითარებაში ზუსტად ორ საათზე გაიხსნა. ამ დროს კოკისპირულად წვიმადა. ზუგდიდის ცენტრალურ პარკში მღეროდნენ შავ ჩოხებში გამოწყობილი, ზუგდიდის სახელმწიფო ანსამბლ „ოლიას“ წევრები. ძეგლის გვერდით ასევე ჩოხებში გამოწყობილ ყმაწვილებს ხუთჯვრიანი და სამჯვრისანი დროშები ეჭირათ. იქ დაახლოებით სამასი კაცი იდგა.

დიდის საჯარო სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს ჭადრაკში ეჯიბრებოდნენ (გამარჯვებული მისი თასი იყო გამაზადებული); კინოთეატრ „ატრიუმის“ წინ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგონები მღეროდნენ, ცეკვავდნენ; ბავშვთა სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ისხდნენ და ხატავდნენ, თემა თავისუფალი იყო, ნახატებს შორის ეკლესიები ჭარბობდა, ასევე იყო ყვავილები, ცხენები, ხეები, მტრედები; შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები სასცენო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილები და ბულვარში სეირნობდნენ; დადიანების სასახლის შესასვლელთან, მერაბ კოსტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის ეზოში მოსწავლეები ხელბურთის ჩემპიონატს, ხოლო დადიანების სასახლის ეზოში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული ბენდის „ზუგდიდის“ წევრები კონცერტს მართავდნენ; ზუგდიდის სამხატვრო გალერეის წინ ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები იყო გამოფენილი...

მერაბ კოსტავას ბიუსტი ზვიადის ბუჩქით მანანა არჩვაძემ არ დაადგოვინა



მერაბ კოსტავას ბიუსტი ჭადრების ხეივანში, ზვიად გამსახურდიას ბიუსტის გვერდით უნდა დაედგათ, მაგრამ ამ საქმეს ხელი მანანა არჩვაძემ გამსახურდიამ შეუშალა.

ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ლაშა ქობალია მანანა არჩვაძეს ტელეფონით დაუკავშირდა – ზვიადის ძეგლს კვირით გადავწევთ, გვერდით მერაბ კოსტავას ბიუსტი გვინდა დავდგათო. მანანა არჩვაძეს ნახაზები მოუთხოვე და მიუწოდებიათ. ამის შემდეგ ბატონ ქობალიასთვის განუცხადებია, ეგ თქვენი პროექტი სისულელეა, ზვიადის ძეგლს ხელი არ ახლოთ, ადგილიდან არ დაძვართო. ეს ამბავი თავად ლაშა ქობალიამ მიამბო.

აი, ამის შემდეგ იძულებულები გახდნენ, მერაბ კოსტავას ბიუსტი დაედგათ ზუგდიდის ცენტრალურ პარკში, რომელსაც გამგებობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, მერაბ კოსტავას სახელი მიენიჭა.

მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ბიუსტების ავტორი მოქანდაკე ზაურ სხულუხია. ბიუსტი

სიტყვით გამომსვლელებმა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მერაბ კოსტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათგან ყველაზე საინტერესო და გულიანი გამოსვლა კახა მიქაიას ჰქონდა.

ზემოსხენებულ ღონისძიებებთან ერთად, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღი-სადმი მიძღვნილი არაერთი წარმოდგენა გაიმართა. ქალაქის ცენტრალური ნაწილი – დავით აღმაშენებლის, იონა მუხარგიას, ზვიად გამსახურდიას, კონსტანტინე გამსახურდიას და რუსთაველის ქუჩები დილიდან გადაკეტილი იყო. ზვიად გამსახურდიას ბიუსტი გვირგვინით შეამკეს; ბულვარის სხვადასხვა მონაკვეთში მოეწყო წიგნების და ყვავილების გამოფენა-გაყიდვა; ზუგ-

სახველი ლიტერატურული წარმოდგენა მეორე საჯარო სკოლაში გაიმართა. სცენაზე ამავე თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე დიდი სიყვარულითა და სითბოთი გვიამბობდა მერაბ კოსტავას სამაგალითო ცხოვრების დეტალებს. ლიტერატურული წარმოდგენა მუსიკალურად გააფორმა ხარაგაულის ხალხური სიმღერის ანსამბლმა „ოდილა“ და დალი მერაბიშვილმა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასკვნით ნაწილში დიდი კონცერტი გაიმართა. ბოლოს ცენტრალურ მოედანზე საზეიმო ფიერვერკი გაუშვეს.

ნიკო მიქიაშვილი

კათოლიკოს-პატრიარქმა უსხოთი მსხოვრებ ქართველებს საქართველოში დაბრუნების მოწოდება

ძმართული დიასპორის დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გურამ საბატრიარქოში უცხოეთში არსებული ქართული დიასპორების წარმომადგენლები მიიღო.

ქართული დიასპორის წარმომადგენლები პატრიარქმა დალოცა, მათი პრობლემებით დაინტერესდა და იკითხა, ჰქონდათ თუ არა მათ საქართველოში დაბრუნების სურვილი.

„გვითხარით თქვენს შესახებ, როგორ ცხოვრობთ, თუ ცუდად ხართ, ჩვენ მზად ვართ მიგიღოთ სამშობლოში. ხშირად ამბობენ, გვინდა დაბრუნება, მაგრამ აქ რა გავაკეთოთ, ეს არ არის სწორი, ჩინელები, ინდოელები და სხვა ქვეყნის

წარმომადგენლები ხომ ჩამოდიან აქ, ისინი რას აკეთებენ“, – ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ თუ აღამიანს შრომა უყვარს, შეიძლება საქართველოში ცხოვრება.

ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ საქართველოდან ხალხი პოლიტიკური ძალადობისა და უსამართლოს გამოც გარბოდა, ვიდრე ეკონომიკური საღვთისკის გამო.

ერთ-ერთმა ქალბატონმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს, რომ ერი ამ ბოლო წლებში დიდ გაჭირვებას გამოატარა და არ მოხდა ის პრევენტი, რომ ქართველს ქართველზე კიდევ ერთხელ ხელი აეღო.

შეხვედრაზე სტუმრების ნაწილმა განაცხადა, რომ საქართველოში დაბრუნების სურვილი აქვთ.

მედიკოსების

სამედიცინო აქციები რეგიონებში

საბარტოვილის ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ კვლავ განაგრძობს საქველმოქმედო სამედიცინო აქციებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. ხელისუფლების მიერ მოსახლეობის საფრთხილო სამედიცინო დაზღვევის მიუხედავად, ყოველ აქციას თანსდევს პაციენტთა დიდი მოზღვაება, უღვივი რიგები, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ აქციებში ყოველთვის მონაწილეობენ ყველა მიმართულების მაღალკვალიფიციური, ცნობილი მედიკოსები სხვადასხვა კლინიკიდან. ამავე დროს, პაციენტებს იქვე უფასოდ ეძლევათ საჭირო მედიკამენტები. ხშირად ჯანმრთე-

ლი ადამიანებიც ეზურებიან, პროფილაქტიკის მიზნით, „ქალაქელი ექიმებთან“ შეიმონწმონ საკუთარი ჯანმრთელობა.

ასე იყო თიანეთსა და სიღნაღში, ამ რამდენიმე ხნის წინათ საქველმოქმედო სამედიცინო აქციების დროსაც. ექიმთა ბრიგადა – კარდიოლოგი, თერაპევტი, პე-

დიატრი, ენდოკრინოლოგი, გინეკოლოგი, ოფთალმოლოგი, უროლოგი, ნევროპათოლოგი გულისხმიერად მოემსახურნენ თიანეთის, წნორისა და სიღნაღის გარდა მათ მიმდებარე სოფლების მცხოვრებთ. პაციენტებს, გარდა კონსულტაციისა, ჩაუტარდათ ლაბორატორიული გა-

მოკვლევა, ექსკოპია, კარდიოგრაფია, მამაკაცებს – პროსტატის ტესტი. პაციენტების ნაწილს მიეცათ რეკომენდაცია თბილისში, შესაბამის სამედიცინო ცენტრში, ჩაიტარონ დამატებითი გამოკვლევა. იმ დღეებში თიანეთში გამოკვლევა და კონსულტაცია ჩაუტარდა 502 პაციენტს, ხოლო

სიღნაღში – 670-ს. თიანეთში უფასოდ დარიგდა 49 დასახელების, ხოლო სიღნაღში 36 დასახელების მედიკამენტი. ამ სიკეთეს უნდა ვუმადლოდოთ საქველმოქმედო ფონდ „ავერის“ დამფუძნებელს ბატონ პაატა კურტანიძეს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია უშურველად გვეხმარება ასოციაციას.

საერთაშორისო ასოციაციისთვის, კერძოდ, ასოციაციის თავმჯდომარის მაია კვეხერელი – კოპაძისთვის, ექიმთა მიერ საქველმოქმედო აქციების ჩატარება მეტად პრიორიტეტულია და ცდილობს მომავალშიც ხელი შეუწყოს ამ კეთილშობილურ საქმეს...

ნატა ნიკოლაძე
სურათებში: სამედიცინო აქციების დროს.



პარალელი



მაშინაც წვიმდა... მაშინაც 26 მაისი იყო

როდესაც ოცდაექვსმეათეობის ზემო გვილიდნენ, ჩემი სტუდენტობის დროს, 80-იან წლებში, ჩემად აღვნიშნავდით ხოლმე რამოდენიმე მეგობარს და ჩვენი ახალგაზრდა ლექტორი, ამჟამად ცნობილი ენათმეცნიერი ავთანდილ არაბული. მისი ლექციები ხომ განსხვავებული და იმდროისათვის მეტად საშიში იყო - არაფრით ჩამოუვარდებოდა უკვე ოთხმოციანი წლების მინურულის მიტინგებსა და გამოსვლებს. ეს სულ სხვა თემაა. როდესაც ნებადართულად და სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულოდ გამოცხადდა ამ დღის აღნიშვნა, არასოდეს მიმიღია მონაწილეობა რუსთაველის პროსპექტზე გამართულ ღონისძიებებში. ხუთიოდე წლის წინათ ჩვენი გაზეთის რედაქტორმა სპეციალური საშვი გადმოგცა 26 მაისის ზეიმზე დასასწრებად (საშვი, რა თქმა უნდა წინა რიგებში დგომას ითვალისწინებდა). მაშინაც არ წავედი ნაძალადევი მიპატიჟებაზე, როდესაც გულს არ ეზიებება და მთავრობის წყალობა არ მივიღე.

წლებადელი ზეიმი მართლაც განსხვავებული იყო. მთელი საქართველო ზეიმობდა დამოუკიდებლობის დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ამინდმა ხელი არ შეგვიწყო და მთელ, ჯერ კიდევ შემორჩენილ ტერიტორიაზე და დაუკარგავ მინა-წყალზე წვიმდა. ავდარი კი ხელს არ შეგვიშლის, როცა მართლა გეზიებება. საესე იყო დედაქალაქის მთავარი ქუჩა ხალხით, მრავლად იყვნენ უცხოელებიც (არადა, „ნაცებს“ რომ შკითხოთ, „მეოცნებების“ მოსვლის შემდეგ ტურისმი ჩავარდაო). ბავშვები ხომ მართლაც ბედნიერად გრძობდნენ თავს, მოყავდათ მშობლებს ეროვნულ ტანსაცმელში გამონყობილი პატარები, ბიჭები - ეროვნული გვარდის ფორმაში (კი არ ეხამუშებოდათ, ეამყებოდათ კიდევ).

ზეიმობდა სრულიად საქართველო. ყოფილი იმელის შენობასთან პოლიციისა და სამხედროთა ტექნიკა ჩაემწკრივებინათ. ბავშვები ამ ადგილს უფრო ეტანებოდნენ. ყველას შეეძლო მოკალათებულიყო საპატრულო მანქანის, მოტოციკლის თუ ჯავშანტექნიკის საჭესთან და გადაელოთ სამახსოვრო ფოტო, უმეტესობა პოლიციელებთან იღებდა სურათს. და გამახსენდა ორი წლის წინანდელი 26 მაისი. დარბეული ხალხი, ათასობით ნაცემი, დასახიჩრებული მომიტინგე და ორი დაღუპული ადამიანი. მეორე დღეს კი საკუთარ ხალხზე გამარჯვებულმა პრეზიდენტმა სასწრაფოდ სისხლგადარცხილ პროსპექტზე პარადი ჩაატარა. მაშინაც საშინლად წვიმდა. მაშინაც 26 მაისი იყო.



ალიან-ჩალიანი
რუსებმა საზღვარი კიდე გადმოიხს
რუსებმა სამხედროებმა ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე მდებარე სოფლებთან, დიცთან და დვანთან ე.წ. საზღვარი გადმოიხს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, სოფელი დიცთან, რომელიც გორის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და ოკუპირებულ ერედვს ესაზღვრება, რუსი ფორმირებები სასაზღვრო ნაგებობებს გუშინაც ამოტყვებენ. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ერედვის მიმართულებით ოკუპანტებს მავთულსლართი აქამდეც შეეძლოთ გაგლეხული, თუმცა, ამჯერად პერიმეტრს ოფიციალური ნაგებობით - რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით აშენებენ. დიცელები ამბობენ, რომ რუსების მიერ გაგლეხული ახალი საზღვარი პირდაპირ მათ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გადის, რის გამოც ნაკვეთებში უსაფრთხოდ გადაადგილება მკვეთრად შეუძლებელია. საზღვრების გადმოწევის ფაქტს შიდა ქართლის გუბერნატორი გამოეხმაურა. ზურაბ ჩხეიძე საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, გამოიყენოს მათ ნელთ არსებული ყველა ბერკეტი, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობები, რომ შეზღუდოს მოვლენების ამ ფორმით განვითარება. „წინააღმდეგ შემთხვევაში უმძიმეს შედეგებს მივიღებთ“, - აღნიშნა ჩხეიძემ.

ავაზლები - „კანფიტი“
კვლავ ავღანეთს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა
მომენი, ერთხელ უკვე შენიშნეს - ეს კაცი მოგზაურობის სიყვარულში ან ინგლისელ მილიონერს მისტერ ტვისტერს ეჯობება (ყოფილი მინისტრს, სახლების, ქარხნების, გემების პატრონს) ან ქართველ ველოსიპედისტს ჯუმბერ ლეჟავას (თუმცა, ნატრაილერზე ეგებ არც ესიათმონოს ველოსიპედის ხსენება). ასეა თუ არა, ერთი რამ ფაქტია - პრაქტიკულად სულ საზღვარგარეთ მივიღინებოდა, საზღვარშიგნით (საქართველოში) იშვიათად შემოივლის ხოლმე. არადა, მისგან აშენებული და აყვავებული ქვეყანა მაინც არ იყო! ქირში თუ ლხინში, საქართველოც, მე ვარ შენთანაო, მიხეილ სააკაშვილს (შინაურულად და მოფერებით - გრძელს) ნამდვილად არ ეთქმის. ქირი იყო, აბა რა - ახლახან ავღანეთში სამი ქართველი მეზროლო რომ დიდილუბა; სამხედრო ოსეთით ვერე თოდეზულმა პრეზიდენტმა კი სამძიმარი ნიუ-იორკიდან გამოგზავნა... ლხინი იყო 26 მაისი, აბა რა - გრძელომ კი დამოუკიდებლობის დღე სათაყვანებელ სამშობლოს ავღანეთიდან მიულოცა... მე რატომ მკითხავდა იქ ნასვლას, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ მიგხვდი, ახლა მაინც რა უნდოდა... არა მგონია, თალიბებს სამშვიდობო მოლაპარაკებებზე მივნივია; თუმცა, ორი საკუთარი ვერსია გემიჩნდა: ერთი - პროტესტის ნიშნად მიგვატოვა ბედისა და დავით ბაქრაძის ამა-რა, აქაოდა, როგორც იგავიუნვდომ მთავარსარდალს, სამხედრო აღლუმის მიღე-

ფიზიკური

წერტილოვანი ურბანი

● **მხელაზი სამარცხინო და ყველაზე სამწუნაროც ის არის, რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს პოლიტიკური ჭრილიდან უყურებს.**
ასეთი ხალხი, რომელიც საკუთარ ქვეყანას კი არ სცემს პატივს, არამედ პარტიას და გარკვეულ პიროვნებას ეთაყვანება, ვერ ააშენებს ქვეყანას და, ალბათ, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველო ჯერ კიდევ ამ დღეშია. როგორც ჩანს, ხელოვნურ პატრიოტიზმთან გვაქვს საქმე და ასეთი ხელოვნური ქვეყანაც ავაშენებ.
● **როცა ვიგრძობთ, რომ ქვეყანა ამოსუნთქვის გზაზე დავაყენებ ყველამ ერთად, აი, მაშინ დაეძვება ფასი დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას. ტრადიცია მაშინ არის კარგი, როცა შინაარსს ეფუძნება და არა ფორმას.**
● **სავაში მოკლევს, სავაში მოკლევს, სავაში მოკლევს!!!**
იმ დღიდან ეროვნული აღმართზე იასემინი აღარავის უნახავს :))
● **ცქრიალას მოლოდინში წვიმაში დასველებულ ბიჭიკოსავით არ იდგა დღეს გუბაზ სანიკიძე? :))**
● **რატომ არის ყველა ნაძირალა კარიერისტი?... გაიხედავ და რომელიღაც ბერკეტი უყვრის... შენი და შენი შვილების ბედს წყვეტს... არა და იცი რომ ნაძირალაა, საკუთარი კეთილდღეობისთვის დაითრია. ბერკეტიც, და სავარქელიც... შენი კი ძველბურად სამუშაოს ეძებ და ინკასატორს ოჯახის დამაქვევრად აღიქვამ...**
● **ასიოდ სოფელს თუ დაკარგავ, ვე არაფერი (სააკაშვილს ვციტირებ). ნამდვილი დიპლომატიური გარდევნაა ვანუატუს ტომის ბელადებთან ურთიერთობის აწყობა. ამ კაცმაცოს ნ თვე უნდა გაგუძლოთ კიდევ!**
● **ვანოს და ბაჩოს შემოუთვლიათ, თუ გამოსვლა გვედირსა, ლევა კაკულიას ცოცხლად დაგვწავთო)) 30 წელი იქნებით ხელისუფლებაში, თქვენ რაც გინდათ ის აკეთეთო! მაგის იმედად ვიყავითო))**
● **მოვიხსოვრებ ვერსიისა კავშირების ბუნებრივ მოვლენად მაღიარებლებს, აეკრძალოთ ორსქესიანი კავშირის შედგენად შექმნილი პროდუქციის ჭამა!!! (ხორცი იქნება ეს, კვერცხი თუ მცენარეული საკვები)**
● **მილიონიანი მარში თბილისში - სარწმუნოების და ეროვნულობის დასაცავად! დღეს ფრანს პრესის ინფორმაცია ასეთია - „ქორწინება ყველასათვის“ - ჰომოსექსუალური ქორწინების წინააღმდეგ - დღეს მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა პარიზის ქუჩებში ოპოზიციური პარტიების UMP-ს, FN-ის და კათოლიკური ეკლესიის ორგანიზებით (ტელეკომპანია TF1-ის და France 2-ის ინფორმაცია) - წარმოიდგინეთ მილიონზე მეტი ადამიანი!!!**
● **ვანოოო, პასტას არ გამოიცვლი, ვანოოო?.. იიი, რა მოუვიდა კაცო, ენა სუ გადაუყვალაააა???)**
● **ადრე სოფო ნიჭარაძე მღეროდა ხოლმე ჰიმნს, ახლა - ანრი ჯოხაძე. რისი მაჩვენებელია ეს ფაქტი ქართულ საშინაო პოლიტიკაში? სად არიან პოლიტიკური ექსპერტები?**



ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებს თვალს თუ გადავავლებთ, თვალნათლივ გამოჩნდება, რომ ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგი სამოქალაქო მშენებლობაა, თუმცა, საკითხს თუ ჩავუღრმავებთ, აშკარა გახდება, რომ საზოგადოებრივი ყოფის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ყველაფერი რიგზე წამდგეილად არ არის. ამ მოსაზრების დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ნეიტრალურ დამკვირვებელს ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას, თითქოს ურბანული (და არა მარტო ურბანული) მშენებლობის პროცესში არქიტექტორების როლი სრულიად უგულვებელყოფილი თუ არა, საკმაოდ დაკნინებულია. ამის თქმის უფლებას გვაძლევს უამრავი, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო გამოცხადებით ატვირთული არაერთი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობა – ქუთაისში პარლამენტი და თბილისში თეატრი რიყეზე, ანაკლიის „წყალბაღი“ სიდი, ბათუმის ანბანის კოშკი და სხვ.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არქიტექტორები, რომელთა მოღვაწეობის სფეროში მატერიალური გარემოს ჩამოყალიბებაა, ერთგვარად განუვადგანან, თითქოს დამკვირვებლის პოზიციაში იმყოფებიან. – ხომ არ არის აპოლიტიზმი თავად პროფესიის თვისება? – ეს და კიდევ რამდენიმე ჩვენი აზრით, მტკიცედ საგულისხმო საკითხი გახლდათ საერთაშორისო ბიენალესა და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატთან, არქიტექტურის დოქტორთან გივი ბაბუნიაშვიტს ჩვენი საუბრის თემა.



– არქიტექტურა არა მარტო პროფესიაა, არამედ აზროვნების ერთგვარი სტილია, რომელიც პროცესებისა და მოვლენების კომპლექსურად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით განხილვას გვკარნახობს. აქედან გამომდინარე საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების, ასე ვთქვათ, „დიაგნოსტიკა“ არქიტექტორებისგან გარკვეულ დროს მოითხოვს. ასევე დრო სჭირდება დასაშუალო „დიაგნოზის“ საჯარო დეკლარირებას. სამაგიეროდ გარკვეული პერიოდის შენობა-ნაგებობები, თუკი მათი ესთეტიკური და პრაგმატული ღირებულების აღქმის უნარი საზოგადოებაში კვლავაც მაღალ დონეზეა, კარგად ასახავენ რეალურ ვითარებას, – ასე ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა ბატონმა გივმა.


– თქვენი თქმით, არქიტექტურა სოციალურ პროცესებს სწორად რომ ასახავდეს, თავად არქიტექტორები უნდა იყვნენ მათი მონაწილენი, გათვითცნობიერებული ჰქონდეთ საზოგადოებრივი მოთხოვნები და აქტიური სამოქალაქო პოზიცია ეკავოთ. როგორია დღევანდელი სინამდვილე?

– მართალია, ბოლო ცხრა წლის მანძილზე არქიტექტურა ჩვენში ასე ვთქვათ, კარგად „გაპიარდა“, მაგრამ თავად არქიტექტორები, ქალაქმშენებლები ერთგვარად ჩრდილში მოექცნენ. ჩემი აზრით, ეს თავად ჩვენივე პასიურობის, შემგუებლობის, პროფესიული სოლიდარობის უქონლობის ბრალია, რამაც, არქიტექტორის სოციალური პრესტიჟი დასცა. ამასთან, ცნობილია, რომ არქიტექტორის ნიჭზე არანაკლებ მნიშვნელოვანია დამკვეთის ინტელექტუალური დონეც, მაგრამ როცა შენი პროექტის მთავარი შემფასებელი იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ანდა მაღალი რანგის სხვა არაპროფესიონალი სახელმწიფო მოხელე, მასთან შეკამათება, ანდა არაკომპეტენტური გადაწყვეტილების გაპროტესტება, ფაქტობრივად, სამუშაოს დაკარგვას, დაკვეთის გაუქმებას ნიშნავს. არქიტექტორები, როგორც წესი, მორიდებული ხალხია და კარიერულ წინსვლას ნაკლებად ესწრაფვიან, თუმცა კი, სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებში მათი აქტიური ჩართვა, დარგის ინტეგრაცია და, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია, საერთო საზოგადოებრივ საქმეს ნაადგებობა.

– თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა კორელაცია ქვეყანაში ბოლო წლების მანძილზე არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და არქიტექტურის ბოლოდროინდელ ტენდენციებს შორის?

– კავშირი, ცხადია, ყოველთვის არსებობს, თუმცა კი, ხშირად ძნელად შესამჩნევ, ლატენტურ ფორმას ატარებს. ერთი მხრივ, ამაღლდა მშენებლობის ტექნიკის დონე, აშენდა რამდენიმე საინტერესო კომპლექსი და ნაგებობა, დედაქალაქში მონესრიგდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი, მაგრამ მეორე მხრივ, დაშვებული უამრავი ქალაქმშენებლობითი შეცდომა, რომელთა გამოსწორება ამჟამად შეუძლებელია. გარდა ამისა, არ არსებობს თბილისის პერსპექტიული განვითარების რაიმე ჩამოყალიბებული კონცეფცია, სრულიად აუხსენელი სიჯიუტით მიმდინარეობს მწვანე სივრცის – ბაღების, პარკების, სკვერების შექცევა განადგურება, ისობა და დედაქალაქის მწვანე სარტყელი, მათ შორის თბილისის-რუსთავეის (კრწანისის ტყე-პარკი), ტაბახმელა-კოჯრისა და სხვა ზონებში, ბაგები-წყნეთის მი-

სხრა წელიწადი მოხალაპი გახებით დანისლულ გარემოში უსსოვრობით!



მართულება კი სულაც ურბანიზებულ განუტოვებლად გადაიქცა, სადაც ათათასობით ხე გაიჩეხა...

საერთოდ კი, მინა – ქვეყნის ის ერთადერთი სიმდიდრეა, რომელიც მომრავლებას არ ექვემდებარება, ჩვენში კი იგი არა მარტო ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თავისუფალზეც განუკითხვად სხვისდება უცხოტომელებზე, ბოროლა ჩინონებსა და მათ ახლობელ ნათესავებზე.

ის გარემო, რომელშიც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ვცხოვრობდით, თავისი ამბიციურობით, ფასადური კეთილდღეობით ყველაფერს ასვამდა თავის დაღს, მათ შორის არქიტექტურასაც. ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რომ თბილისელს საკუთარ ქალაქში თავი უცხოდ ეგრძნო, აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება არ ჰქონოდა, ხოლო არქიტექტურის მხოლოდ როგორც პიარის პროდუქტის მუხრის მომხმარებელი ყოფილიყო. შედეგად, მრავალ სხვა „სიკეთესთან“ ერთად, თბილისელთათვის მუდამ გამორჩეულად დამახასიათებელი ქალაქური პატრიოტიზმის გრძნობა ერთგვარად დაკნინდა და გაუფასურდა.

– შარშანდელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და თუ არის რაიმე შესაძლებელი ცვლილებები, რისი მოლოდინი გაქვთ და, საერთოდ, როგორ აღიქვამთ ამ მხრივ მიმდინარე პროცესებს?

– ამჟამად მიმდინარე პროცესებს „სოციალური გარემოს დეზინტოქსიკაციას“ დავარქმევდი. ბოლო ცხრა წელი თითქოს

მოხმამლავი გახებით დანისლულ გარემოში ვცხოვრობდით, რომელიც მოქალაქეობრივ ნებისყოფასა და აქტივობას თრგუნავდა. ამასთან, გასაოცარია ის ფენომენი, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, თავისი პასიურობისა და უმწეობის გამო, ყოველივე ამას ეგუებოდა. რომ არა ბიძინა ივანიშვილის პიროვნება, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამ შხამიან ბურუსში ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევდა ყოფნა. ამასთან, მავანთ კიდევ მინდა შევახსენო: ურიგო არ იქნებოდა დღესდღეობით მის გვერდით მდგარი ზოგიერთი პოლიტიკოსი, აგრერიც თავს რომ იწონებს, თუ გაიხსენებს, როგორი რეიტინგი ჰქონდა კოალიციაში განვერებამდე, როგორ ათამამებდა უკბილო და, შესაბამისად, უშედეგო კრიტიკით წინა ხელისუფლებას.

რაც შეეხება თავად ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ყოველივე, რასაც მან მიაღწია, ძლიერი ხასიათის, სამიედობისა და საქ-

არახელსაყრელია მათი პოზიცია საპარლამენტო არჩევნების წინ...

– მოდი, ისევ არქიტექტურას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება აისახოს ქვეყანაში ამჟამად შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ქართულ სურთომოდღერებაზე?

– საქართველო მსოფლიოს ნაწილია და, ცხადია, რომ არქიტექტურული სტილი, ან რომელიმე კონკრეტული მიმართულება მარტო ჩვენს გეოგრაფიულ საზღვრებში არ ყალიბდება. „პრატიკი“ (ამ არქიტექტურული სტილის ნაგებობები თანამედროვე ტექნოლოგიების ნიმუშებს ასაწვობს საწარმო მოდულებს, კონტეინერებს ჰგავანან – ვმტ.) თანდათან მოდიდან გამოდის, უფრო სწორად კი იგი იმდენად სამშენებლო ტექნოლოგიების სუპერმილენეების დემონსტრირებას აღარ ახდენს და უფრო მეტად ეკოლოგიურ ფაქტორებს, ენერგო-დამზოგავ გადან ყვეტილებებს ითვალისწინებს. თუ როგორ და რამდენად აისახება ეს ტენდენციები ჩვენს სინამდვილეში, ამას დრო და არქიტექტორების ნიჭი გვიჩვენებს.

– ბოლო ხანებში საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში რამდენიმე პროექტია მოქცეული, რომელთა ირგვლივ მასშედიანო დიდი აუთორიტეტი ატვირთი მათი მიზანშეწონილობისა და ზოგიერთი სხვა ასპექტის გამო. მხედველობაში მაქვს ლაზიკის მშენებლობა, ბათუმში აზიზის მეჩეთის აგება. რამდენადც ვიცი, თქვენ ამ საკითხის გადან ყვეტილის ორიგინალური ხედვა გაქვთ. თუ შეიძლება, გვიამბეთ ამის თაობაზე.

– ლაზიკის აშენების მიზანშეწონილობის შესახებ წმინდა ეკონომიკური, დემოგრაფიული ასპექტების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩემი აზრით, ამ ტერიტორიაზე შეიძლება დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კულტურული ცენტრის დაარსება, სადაც სამცხე-ჯავახეთის დანესებულებებისა და სანახაობითი ნაგებობების, მეგრულ-აზნაურ ძველებური ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის, ხალხური რენესის მცირე ობიექტებისა და სხვ. განთავსება იქნებოდა შესაძლებელი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ კომპლექსში ჩართული უნდა იყოს უკვე არსებული შენობებიც.

რაც შეეხება ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობას, რაც საზოგადოების ნაწილის მიერ რელიგიურ ექსპანსიად აღიქმება, ამ პრობლემის გადასაჭრელად, ალბათ, სხვა გადან ყვეტილების მიღებაა საჭირო. კერძოდ კი, მისი არა ბათუმში, არამედ თბილისში გადმოტანა, რომელიც ოდითგანვე იყო კავკასიის მულტიკულტურული ცენტრი და სადაც არსებობდა და ამჟამადაც არსებობს თითქმის ყველა მიმართულების სალონავები, მათ შორის მეჩეთიც, თუმცა კი, მისი შენობა ერთობ მოუხერხებელია, თანაც ამორჩევი ზეულო. ახალი მეჩეთის აშენება შეიძლება, მაგალითად, თბილისის-რუსთავეის ზონაში, პროექტზე კი საერთაშორისო კონკურსის გამოცხადება, რომელშიც ქართველი არქიტექტორებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, რადგან შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს ძალიან საინტერესო და რთული ამოცანაა.

დაბოლოს, ერთსაც დავამატებდი. დრო, მოგესხენება, ყოველთვის მთლად ბოლომდე თუ არ შლის, იერსახეს მაინც დიდად უცვლის, მათ შორის, ცხადია, ქალაქებსაც. მე-19 საუკუნის თბილისის ამსახველი, დიდი ოსტატობით შესრულებული ასობით უნიკალური ფოტოსურათი დაგვიტოვა საქართველოზე შეყვარებულმა რუსმა ფოტოხელოვანმა დიმიტრი ერმაკოვმა. ეროვნებით ასევე რუსმა სურთომოდღერამა ნიკოლოზ სევეროვმა კი, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა შესანიშნავი ნაგებობების ავტორია, დიდი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ქედური ხელოვნების ნიმუშების, მინაქრის, დაზგური ფერწერის, ნაქარგობისა და სხვა ნაკეთობათა გადარჩენაში, რომლებსაც 1923-24 წლებში გარდაუვალი განადგურება ემუქრებოდათ.

ამ ორი დიდი პიროვნების ძეგლის არსებობა თბილისში, ვფიქრობ, ჩვენი მადლიერების გამოხატვაც იქნებოდა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზების ურთულეს გზაზე ერთი პატარა, მაგრამ კეთილგანწყობის მეტყველად გამოხატვები ნაბიჯი იქნებოდა.

ლბტ-ს - ეს ცოდვის შეიღების აბრევიატურაა, ლესბოსელების, გეების (იგივე ჰედერასტების), ბი-სექსუალების (მოხედერასტო ტიპების) და ტრანს-სექსუალების (სექსუალური იდენტობის) აღმნიშვნელი. ყველაზე მრავალრიცხოვან პირველ ორ ჯგუფს კრებით სახელს - ჰომოსექსუალებს უწოდებენ.

ამ კატეგორიაში შემაჯალმა პირებმა, დაახლოებით 50-60 ან, შესაძლოა, 100 ადამიანი და მათმა მხარდამჭერებმა გადარყვეს, აქციით აღენიშნათ „ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე“ 2013 წლის 17 მაისს თბილისის ცენტრალურ მოედანზე. ამ მცირერიცხოვან ჯგუფს, რაც არ უნდა გაუკვირდეთ დასავლეთში, დაუპირისპირდა 50-60 თუ 100 ათასი(!) თბილისელი ასამდე სასულიერო პირის წინამძღოლობით!

ერთი შეხედვით, ჰომოსექსუალებს საცხებით კანონიერი უფლება ჰქონდათ, შეკრებილიყვნენ იქ, სადაც სურდათ. იგივე განაცხადა სახალხო დამცველმა ნანუა შვილიძემ: „ყველა მოქალაქეს, მიუხედავად განსხვავებული პოზიციისა, აქვს თანაბარი უფლებები, მათ შორის ლგბტ თემის წარმომადგენლებს და მათი უფლებების შეზღუდვას საქართველოს კანონმდებლობა ვერ დაუშვებს“, რომ არ შეიძლება ადამიანებს შეეზღუდოთ ე.წ. „გამოსახტვის თავისუფლება“.

ამაზე არც არავინ დავობს, ზოგადად ასეა, მაგრამ გამოსახტვის თავისუფლება ყველაფრის გამოსახტვის თავისუფლებას არ ნიშნავს. ვინაიდან ჰომოსექსუალების მოთხოვნები, პრეტენზიები დიდი ხანია ცნობილია, იმიტომაც აღსდგა ერთი და ბერი მათ წინააღმდეგ. მნიშვნელობა არა აქვს დღეს 50 კაცი თხოულობს, რასაც თხოულობს, თუ - 100, ყველამ ვიცით დასავლეთის მაგალითზე, რომ ხვალ ათასები გახდებიან, ზეგ - მილიონები, და დაემშვიდობე მერე ოჯახს, ერს და ადამის მოდგმასაც საერთოდ!

და მაინც, რა სურთ კონკრეტულად ჰომოსექსუალებს, რა შიშების (ფობიების) წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ მათ 17 მაისს? არავითარ შიშებთან ბრძოლას არავინ არ აპირებს, აქციებით და ალღუემებით ისინი პროპაგანდას უწევენ ჰომოსექსუალობას და იბრძვიან თავიანთი მოთხოვნების დასაკანონებლად - ერთსქესიანთა ქორწინების, ბავშვების შეიღად აყვანის და იმ შეღავათების (დეკრეტული შეზღუდვების ჩათვლით) მოსაპოვებლად, რაც ნორმალურ, ქალისა და მამაკაცისგან შექმნილ ოჯახებს აქვთ მინიჭებული სახელმწიფოსგან. ამ მიზანს ჰომოსექსუალებმა უკვე დასავლეთის 14 სახელმწიფოში მიაღწიეს. საფრანგეთი გახდა (მაისის შუა რიცხვებში) რიგით მე-14 ქვეყანა, სადაც „წარმატებით“ დაგვირგვინდა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა და, სადაც ამიერიდან „დედა და მამა“ სხვა სიტყვებით შეიცვლება - „მშობელი 31 და მშობელი 32“, ოღონდ ვის მიენიჭება 31 მშობლის საპატიო ადგილი, აქტიურ პედერასტს თუ პასიურს, უცნობია!

ამ პედერასტების მხარდამჭერი უფასო თუ კარგად დაფინანსებული ადვოკატები სიტყვას არ ძრავენ მამათმავლობაზე, როგორც საშუალო და სამარცხვინო, ქართველი ერის ტრადიციების და რწმენის შეურაცხყოფელ მოვლენაზე, ყველა ლაბარაკობს, მხოლოდ 17 მაისს გამოჩენილ აგრესიაზე, ძალადობაზე, ჩაშლილ აქციაზე - რომ პოლიციამ ვერ უზრუნველყო აქციის ჩატარება და, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი(!) ლესბოსელი და პედერასტი არ დაშავებულა, მაინც მოითხოვენ პოლიციელების, სასულიერო პირების და სხვათა მკაცრ დასჯას. ეს „ჰომოდამცველები“ პედერასტებზე უარესები არიან!

ისინი მხოლოდ უცხოეთის გამოსამაურებაზე წუხან(ეს რა სირცხვილია ვჭამეთ, ხომ გაგვიტყდა სახელი ცივილიზებულ მსოფლიოში“ და ა.შ.) და 17 მაისთან დაკავშირებით იმათ გამოჩინოქვაშებს იშველიებენ (უცხოელი დიპლომატებიდან დაწყებული სახელმწიფო დეპარტამენტით დამთავრებული), ვისაც ქართველი ხალხისთვის შენიშვნების მოცემის არავითარი მორალური უფლება არა აქვს, ვისაც ხმა არ ამოუღია სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის დანაშაულობებზე, ვისთვისაც პედერასტების ერთი ადგილი და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ქართველი კაცის ღირსება, რწმენა და ტრადიციები! უცხოეთზე მიჩენებული ეს პოლიტიკურად გააედერასტებული პედერასტები საკუთარ ერს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ - 50 თუ 100 ათასამდე პროტესტანტს საზოგადოების ველურ ნაწილს უწოდებენ, მართლმადიდებელ ხალხს - მართლმადიდებლებს.

ძალიან მიკვირს, ზოგიერთებს - პოეტებად და მწერლებად, პუბლიცისტებად და უფლებადამცველებად, პოლიტიკოსებად და ექსპერტებად წოდებულებს, ენა როგორ უტრიალდებათ პირში ქართველი ერის შეურაცხყოფისთვის, როცა მათ მშვენივრად მოეხსენებათ ქართველი ერის შემწინარებლური ხასიათის შესახებ. ცოტა ვინმე თუ დაიკვირნის მსოფლიოში იმ ტოლერანტული თვისებებით, რაც ოდითგან ჩაგვიწერეს ჩვენმა გამჭრიახმა მეფეებმა. მხოლოდ უახლესი ორი მოვლენის გასწვრივ კვანთა ამის დასადასტურებლად - 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რუსეთზე გამწვანებულ ქართველ კაცს ხელი არ დაუკარგება საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების ადამიანისთვის, ხოლო 2007-12 წლებში ლა-მის პერმანენტული მიმდინარე მასშტაბურ აქციებზე (ათეულობით და ასეულობით ათასი ადამიანის მონაწილეობით) კი, ერთი მინა არ ჩაუბნებია უკვე საკუთარ ხელისუფლებაზე გამწვანებულ „ველურ“ ქართველს! შეგიძლია, უმჯობესად გავაყრიო შენი ერი, და ამის არაერთი მაგალითი ვიცით ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, მაგრამ პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების(!) სერიოზული განხილვის გარეშე მოდგე და ლანძღო იგი, და მას ე.წ. „გამოსახტვის თავისუფლებაზე“ ჭკუნიდაბრეგებლური ტონით ჯედმადლურად ელაპარაკო (ზოგიერთების საამებლად

ლად, შეცოდების განცდის აღმძვრელიც, როდესაც ქალურად გამოწყობილ და მაკიაჟაკეთებულ, ქალური მიხერა-მოხერით მოსიარულე და ქალივით მოლაპარაკე „მამაკაცს“ უყურებ (დაახლოებით, იგივე შეიძლება ითქვას, ოღონდ გაცილებით ნაკლებ ხარისხში, იმ ლესბოსელ ქალებზეც, რომლებიც მამაკაცურად იცვამენ და მაკიაჯებს ბაბავენ ყველაფერში). ჩვენი მხრიდან შეცოდებას კი იწვევს ის, რომ სპეციალური განათლების გარეშე ვხედებით ყველანი - ამ ადამიანებს ყველაფერი წესრიგში არა აქვთ თავში, რომ მათ რაღაც „შარიკები“ აკლიათ. ჩვენი „მიხედვილობა“ საუკუნეების მანძილზე დასტურ-



უდიდესი საფრთხე, რას კი აქამდე აღამის მოდგმას დამუქრებს



თუ თავის გამოსახტვად, ყოველად გაუმართლეს ბელია და უზნეო!

ძალადობას ყველა ერი და ნორმალური ადამიანი გმობს, მაგრამ კრიტიკოსებმა კარგად უნდა იცოდნენ (ექვცი არ მეპარება, იცინა კიდევ!), რომ ძალადობას ძალადობა შობს და, რომ ქმედებაზე უკუქმედება საცხებით ბუნებრივი მოვლენაა. იცინა ისიც, რომ ძალადობაში ყოველთვის ფიზიკური ძალადობა არ იგულისხმება და, რომ ადამიანი საზოგადოებაში განსხვავებულად შეიძლება მოხდეს - ქმედების გამომწვევი მიზეზი უმოქმედობაც შეიძლება გახდეს, ხელისუფლების(!) უმოქმედობა, როცა იგი ხალხის მოთხოვნებს და ერის დასუსტობებს უგულვებელყოფს. და, თუ ყოველივე ამას საზოგადოებისთვის ძალზე საშიშში მოვლენის - ჰომოსექსუალობის აშკარა თუ ფარული მხარდაჭერა (წახალისება) ემატება ხელისუფლების მხრიდან (ამერიკის ზენოლით თუ საკუთარი ინიციატივით, ეს არავის არ აინტერესებს!), მაშინ ათეულობით ათასი ადამიანის აგრესიული პროტესტი სულაც აღარ არის ძნელი ასახსნელი!

ისინიც კი, ვისაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კარგად აქვთ გაცნობიერებული, როგორც წესი, ცალმხრივად განხილავენ თავად პრობლემას - მამათმავლობას. აქცენტები კეთდება მორალურ-ესთეტიკურ მხარეზე, მის პათოლოგიურ არსზე, ქრისტიანული რელიგიისთვის უმძიმეს ცოდვაზე. ასეა ნამდვილად, პედერასტები ერთობ მიუღებელია ესთეტიკურად და ზიზღის გამომწვევიც, განსაკუთრებით, თუ „გაგმართა“ და ორი მამაკაცის ერთობისთვის „კუჭის წვენი ამოღების“ სცენას, ე.წ. „ზასოსებს“ შეესწარი ან ფილმში იხილე; გულსამარცხია და, იმავდროულ-

ად, შეცოდების განცდის აღმძვრელიც, როდესაც ქალურად გამოწყობილ და მაკიაჟაკეთებულ, ქალური მიხერა-მოხერით მოსიარულე და ქალივით მოლაპარაკე „მამაკაცს“ უყურებ (დაახლოებით, იგივე შეიძლება ითქვას, ოღონდ გაცილებით ნაკლებ ხარისხში, იმ ლესბოსელ ქალებზეც, რომლებიც მამაკაცურად იცვამენ და მაკიაჯებს ბაბავენ ყველაფერში). ჩვენი მხრიდან შეცოდებას კი იწვევს ის, რომ სპეციალური განათლების გარეშე ვხედებით ყველანი - ამ ადამიანებს ყველაფერი წესრიგში არა აქვთ თავში, რომ მათ რაღაც „შარიკები“ აკლიათ. ჩვენი „მიხედვილობა“ საუკუნეების მანძილზე დასტურ-

არ ექცევა ყურადღება და, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, კანონის საფუძველზე აკრძალოს საზოგადოებისთვის მეტად საშიში მოვლენის - ჰომოსექსუალობის აფიშირება და პროპაგანდა. მაგრამ კანონი სახელმწიფომ უნდა მიიღოს, რისი იმედიც, „ნაცების“ და „ოცნების“ პარლამენტური უღურტულის შემყურეს, რაღა დაგიმალოთ და, აღარ მაქვს. თუ რუსეთს მივბაძვით და ჰომოსექსუალობის რეკლამას მაინც ავკრძალოთ, ესეც დიდი მიღწევა იქნება. ყველაფერი პარლამენტზეა და მოკიდებული და თუ იქ დაუმსახურებლად მოხვედრილ ადამიანებს არ სურთ ვადამდევი არჩევნების ჩატარება (და მერე პარლამენტს მიღმა დარჩენა!), მაშინ სამართლებრივ საკითხებთან ერთად ანტისოციალურ გამოვლინებას - ჰომოსექსუალურ საკითხსაც უნდა მიაქციონ ყურადღება. სახელმძღვანელოდ ამერიკა-საფრანგეთის და უცხო ქვეყნების კანონმდებლობა კი არ უნდა აიღონ, არამედ მართლმადიდებელი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ზნე-ჩვეულება და ტრადიციები, და მისი, როგორც ერის, ფიზიკურ და სულიერ გადარჩენაზე იზრუნონ.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, ჰომო-დამცველების იმ არგუმენტებზე შევჩერდები, რითიც ისინი თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი მამათმავლების გამართლებას ცდილობენ. ესთეტიკურ ბრალდებებზე ისინი გვიპასუხებენ, რომ ესთეტიკური მხარე გემოვნების საქმეა, ვის მოსწონს და ვის - არა; რაც გარყვნილება გგონიათ, ის სექსის ნაირსახეობაა; ჰომოსექსუალობის ცოდვად მიჩვენაზე აცხადებენ, რომ ეს დრომოქმული შეხედულებაა, სოციალური ეკლესია აღარ თვლის მამათმავლობას ცოდვად და ჯვარსაც კი სწერსო, ამავე დროს აბსოლუტური უმრავლესობა ათეისტია და რელიგიური შეხედულებების გაზიარებას არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს; რაც შეეხება ამ მოვლენის ფსიქიურ დაავადებად განხილვას, ეს ხომ რახანია უარყოფილია მეცნიერების მიერ და ამიტომ გიჩივლებთ კიდევ, თუ ავადმყოფებს დაუძახებთ ჰომოსექსუალებსო! აი, ასე მარტივად აბათილებენ ისინი, თავისი ჭკუით, ჩვენს არგუმენტებს.

პედერასტების და მათი დამცველების გასაგონად და პოლიტიკურ მოვლენებში ნაკლებად ჩახედული მკითხველისთვისაც განვმარტავ, რომ ჰომოსექსუალობის ამოღება ფსიქიურ დაავადებათა ნუსხიდან მოხდა არა მეცნიერულ საფუძველზე, ან ხალხის მოთხოვნით (როდის ეკითხებოდნენ ხალხს რამეს სადმე!), არამედ - პოლიტიკური ნებით, პოლიტიკური ზენოლით, რასაც თითქმის 20 წელი ეწინააღმდეგებოდა ევროპის სამედიცინო საზოგადოება. გადამწყვეტილები და კანონები პოლიტიკური ნებით რომ იცვლება, ამის საუკეთესო მაგალითია გაეროს გენერალური ასამბლეის 1975 წლის რეზოლუცია - „სიონიზმი რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმაა“, რომელიც 1991 წელს თავადვე გააუქმა. ცხადია, არც სიონიზმი შეცვლილა 16 წელიწადში და არც - რასიზმის ცნება! ეს მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული ძალების პოლიტიკური ნება იყო და სხვა არაფერი; ასევეა მეცნიერებაშიც, სამართალშიც (რისი მოწმენიც ყველანი ვართ დღეს, 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც!) და ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ბევრი იფაფხურა ხალხმა მშვიდობიანად საფრანგეთში, 800 ათასზე(!) მეტი ადამიანიც გამოვიდა პარიზის ქუჩებში იანვარში, მაგრამ მიუხედავად ყოველდღიური მიტინგებისა, მიუხედავად იმისა, რომ ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგე რვაჯერ(!) აღემატებოდნენ ჰომოფორმების მომხრეებს, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაინც მოანერა ერთსქესიანთა ქორწინების და ჰომოსექსუალური წყვილების მიერ ბავშვების შეიღად აყვანის კანონის ხელი მაისში! საფრანგეთი მეტოფორმული „ცივილიზებული“ სახელმწიფოა, სადაც ამიერიდან ნებადართულია ერთსქესიანთა ქორწინება. ამის საპასუხოდ, პროტესტის ნიშნად, ცნობილია ფრანგმა მწერალმა, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატმა, 78 წლის დომინიკ ვენერმა თავი მოკლა პარიზის ლეთისმშობლის ტაძარში 21 მაისს, ორი საათით ადრე, ვიდრე ბასტილის მოედანზე ერთსქესიანი ქორწინების მომხრეებმა „გამარჯვების“ ალსანიშნავი კონცერტი დაიწყებოდა. სამწუხაროდ, ჰომოსექსუალების მფარველ ხელისუფლებებს შიმშილობებით და თვითმკვლელობებით ვერაფერს შეასმენინებ. და მე არ მინდა ასეთი დღე გაგვიტენდეს საქართველოში!

ბუნებაში აბსოლუტურად ყველა მოვლენას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ყველას, ჰომოსექსუალობის გარდა. მას მხოლოდ უარყოფითი აქვს (რამე დადებითი მოს მქონდეს, ხომ თავს ნავგებდნენ აქამდე!) მაგრამ მხოლოდ ცოდვა, გარყვნილება და სიმანაწივე არაა ჰომოსექსუალობა, იგი უდიდესი საფრთხეა ადამის მოდგმისთვის! მთავარი საფრთხე, რაც ჰომოსექსუალებიდან მოდის, ეს არის დემოკრატიული კატასტროფის საფრთხე, რის წინაშეც, ჩვენ ისედაც ვდგავართ დღეს! დიდი ანგარიში არ სჭირდება მას, რომ გააედერასტების დაუჯერებლად მზარდ ტანდენციას, პედერასტების და ლესბოსელების მომრავლებას, გადაგვარება-გადაჯიშვასთან ერთად საბოლოო ჯამში ჩვენი (და სხვა პატარა ერებისაც, ცხადია!) ფიზიკური გადარჩენა მოგვე-

შაბათ-კვირის ჩანაწერები

მწიფობისთვის ვარდობისთვის

კბცის გამოცნობა არადვილია, ძნელია, მაგრამ უცებ, რაღაც ფაქტი მიგანიშნებს მის ოჯახის შვილობილსა და ზრდილობას...



სამსახურში ასასვლელად ლიფტთან რომ მივდი, იქვე ახალგაზრდა კაცი იდგა და ელოდებოდა. ჩამოვიდა ლიფტი, გაიღო კარი და დამხვდნობა, რომ იტყვიან, თავი მოიკლა, სანამ წინ არ გამიშვებ.

— ჯერ ერთი, გიცნობთ შორიდანო...

— ეს გამომცემლობა ხომ ჩვენი სახლია და, ალბათ, აქედან-მეთქი.

— კი, ბატონო, მე „შანსში“ ვარ ბონდო ქურდაძესთან და ვიცი თქვენზე რაღაც-რაღაცები...

— იმედია, ცუდი არაფერი-მეთქი...

— რას ამბობთ, პირიქითო...

ერთი სიტყვით, ჩემი და ოთარ ტურაბელიძის ნაცნობ-მეგობრობა იმ დღიდან დაიწყო და უკვე, თითქმის ოცი წელიწადია გრძელდება. ეს ყოველივე გააძლიერა ოთარის გადმოსვლამ „საქართველოს რესპუბლიკაში“, მანამდე კი იგი „შანსის“ შემდეგ საქინფორმში მუშაობდა და ოპერატიულ მასალებს არ აკლებდა ბეჭდურ მედიას. ეს ოპერატიულობა, ეს რეპორტიორული თვისებები დღემდე შეერჩა ოთარს, რაც სწორედამ რომ შესაძლებელია ყველა იმ ახალგაზრდისთვის, ვისაც უფრონაღისტიკაში, კერძოდ პრესაში ჭაბანწყვეტა განუზრახავს. რეპორტიორულ თვისებებზე ვამბობდი; ეს 65 წლის კაცი (ამ თარიღის გამო ინერვბა ეს მოფერება) ისე მიიღებს რედაქტო-

რისგან დავალებას, ისე „ბიჭვით“ გაიქცევა, სადაც საქმე მოითხოვს და ისე ოპერატიულად, ნომერში მისცემს მასალას, რომ შეიძლება პრაქტიკანტებს, ახალგაზრდებს აყურებინო, აგრძნობინო, რა არის ჟურნალისტიკა — ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

ოთარ ტურაბელიძე სპეციალობით გეოლოგია, მოვლილი აქვს საქართველო და ჩვენს წრეში რამ მოიყვანა, აღარ მიკითხავს. რა საჭიროა, მთავარია, რომ ოთარს არც წერა ეშლება, და თემაც თავისი აქვს — ძირითადად ეკონომიკა...

იზი, რომ იტყვიან, სიყვარულის კაცია, თბილისელია, „პლუხანოვზე“ გაზრდილი, ბაბუის, ცნობილი მწერლის პოლიო აბრამიას გენისა და უამრავ მეგობარს მეგობრობით პასუხობს. სწორედ ამან ათქმევინა ჩვენს ძვირფას ზურაბ გოშაძეს ლექსი — მიძღვნილი ოთარ ტურაბელიძისადმი, რომელიც ასე მთავრდება:

მაშ, დაგილოცავ ცხოვრებას ისეთს, რომ გერქვას კაცი და მეგობარი, რომ შენს სახელზე ასი წლის მერვეც არ დააფიქვდო შესაძლებელი.

ეს ასი წლის შემდეგ, ჩვენი ოთარ, ჯერ კი დაბადების 65 წლისთავს გილოცავთ, ივანმრთელე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ალიან-ჩალიანი



ვანო მერაბიშვილი სინას შეჩვიდა

ვანო მერაბიშვილს ციხის ადმინისტრაციასთან არანაირი პრეტენზია არ აქვს, — ამის შესახებ მისმა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა მერაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ის ვანო მერაბიშვილთან შეხვედრაზე დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

— არანაირი პრეტენზია არ აქვს ადმინისტრაციასთან. თავს გრძობს ნორმალურად, არის სამართლო საკანში და რაიმე პრეტენზია არ დაუფიქსირებია, — განაცხადა ჩივიაშვილმა.

ადვოკატის თქმით, ვანო მერაბიშვილთან შეხვედრისას ისაუბრეს სააპელაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ვანო მერაბიშვილისთვის საქალაქო სასამართლოს მიერ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება ძალაში დარჩა.

ჩივიაშვილი ამბობს, რომ მერაბიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება დაუსაბუთებელი იყო როგორც სააპელაციო, ასევე საქალაქო სასამართლოს განხილვის დროსაც.

საბანკო სექტორი 20 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი

2013 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 20 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მათ შორის 15 ბანკის საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, სოლო 3 — უცხოური ბანკის ფილიალია.

2012 წლის მაისთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 2.0 მლრდ ლარით, ანუ 15.8 პროცენტით გაიზარდა და 14.6 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 2.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 17.6 პროცენტია.

06ტმპრპმს0

„კავკასიონმა“ დაიბეჭდა კავკასია

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორულ ანსამბლს შორის გამოჩენილია ქორეოგრაფიული ანსამბლი „კავკასიონი“, რომელსაც ცნობილი ქორეოგრაფი ანგულ ქავთარაძე ხელმძღვანელობს. ანგული ის კაცია, 1970-იანი წლების დასაწყისიდან — თბილისის ილიკო სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის დამთავრების შემდეგ — სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში რომ ცეკვავდა, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ერთხანს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ წამყვანი სოლისტიც იყო, მუშაობდა ქორეოგრაფად მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც ჩამოაყალიბა კიდევ ანსამბლი „კავკასიონი“ და ამჟამად მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია. ანგულ ქავთარაძეს არც თანამდებობები დაკლებია და არც საპატიო ჯილდო „ღირსების ორდენი“, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე, მისთვის ყველა ჯილდოზე ძვირფასია, როდესაც მას შემდეგ ალტაცებით უკრავს ტაშს მისი ბავშვების ხელოვნებას, როდესაც „კავკასიონი“ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებზე იმარჯვებს, ანდა, რომელიმე მისი აღზრდილი ქვეყნის წამყვან ქორეოგრაფიულ ანსამბლში წარმატებით განაგრძობს ცეკვას.

მკითხველებს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ანგულ ქავთარაძე. — ამჯერად ვლადიკავკაზში ვიყავით მიწვეული, სადაც გაიმართა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების III საერთაშორისო ფესტივალი „მეგობრობის ცეკვა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, უკრაინის, ბელარუსიის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების საუკეთესო ბავშვთა ანსამბლები, ერთი კვირის განმავლობაში ვლადიკავკაზში, შეიძლება ითქვას, ამ ფესტივალის სუნიტაჟდა, უნიჭიერესი ბავშვები, უნიჭიერესი კოლექტივები აცოცხლებდნენ იქაურობას და ამ მეგობრულ შეჯიბრებაში 30 ქვეყანას შორის ჩვენმა ანსამბლმა მოიპოვა ფესტივალის გრან-პრი „კავკასიონს“ ერგო, აგრეთვე ფიურის სპეციალური პრიზი „საუკეთესო ეროვნული ცეკვის წარმომჩინისთვის“. აბა, როგორ არ ვიამაყოთ!

...ჩვენ ვნახეთ განსხვავებული ოსეთი, ვიგრძენით დიდი სიყვარული ქართული ანსამბლის თითოეული წევრის მიმართ. ისინი მოდიოდნენ ჩვენთან, ბავშვებისთვის მოქმედებდა საჩუქრები, ერთი განახათ, იქ მცხოვრები ქართველები რა სიტბოს ავლენდნენ. ჯერ კიდევ თავიდან, დარიალის ხეობაში შევედით თუ არა, პურ-მარილით დაგვხვდნენ...

ვიყავით ვლადიკავკაზის 39-ე ქართულ სკოლაში, სადაც თავის დროზე ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს უსწავლია, ასევე ვიყავით ქართულ სოფელ ბალთაში... იყო სიყვარული და ურთიერთმოფრება. ჩვენი დელეგაციის წევრებმა, ჩვენმა გოგო-ბიჭებმა მინაკებით შეამკეს ბესლანის ტრაგედიის დროს დაღუპულთა მემორიალი.

მოკლედ, დავბრუნდით მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით, რაც მთავარია, გამარჯვებული დავბრუნდით, რასაც დიდად ვუმაძღვრებ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზი-



დენტს ლერი საბელოვს, რომელმაც მოინდომა ჩვენი გამგზავრება ვლადიკავკაზში და, როგორც საჭირო იყო დაგვაფინანსა კიდევ.

კვირას, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ანსამბლი „კავკასიონი“ საპატრიარქოში მიიწვია ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ილია II-მ და დაასაჩუქრა ანსამბლის წევრები, რისთვისაც ანსამბლის ხელმძღვანელი ანგულ ქავთარაძე და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ფეიქრიშვილი დიდ მადლობას უძღვნიან და დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უსურვებენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ვილან მარდალაიშვილი.

სურათი: „კავკასიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ანგულ ქავთარაძე პრიზით — „საუკეთესო ეროვნული ცეკვის წარმომჩინისთვის“; ანსამბლის მოცეკვავეები „გრან-პრი“.



გაგაფრთხილებელი ანცია

ბათუმში საერთაშორისო საქონტაინერო ტერიმინალის თანამშრომლები გაიფიცნენ

ტიმინალის თანამშრომლები ითხოვენ ხელფასის გაზრდას 50%-ით, 108 თანამშრომლისთვის შტატის დაშვებას, სამედიცინო პუნქტის გახსნას, შრომის უსაფრთხოების დაცვისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, გასაადვილი და სველი წერტილების მოწესრიგებასა და კვების ობიექტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. როგორც საერთაშორისო ტერიმინალის თანამშრომლებმა გორა ბეშტიანიშვილმა აღნიშნა, ეს არის გამაფრთხილებელი გაფიცვა, სოლო თუ მათ მოთხოვნებს ადმინისტრაცია არ გაითვალისწინებს, საპროტესტო აქციები პერმანენტულ სახიათს მიიღებს.

— ჩვენ გვაქვს ანაზღაურება 3 ლარი და 15 თეთრი საათობრივი განაკვეთით. თვეში 10 გამოძახება გვინევს, შესაბამისად, 300 ლარის ფარგლებშია ჩვენი ანაზღაურება. რამდენჯერმე მივმართეთ მენეჯერს, მაგრამ მხოლოდ დაპირებებია, პირობები კი არ გაუმჯობესებულა. სამსახურში არ მიგვიღებენ, სანამ ვინმე არ გარდაიცვლება, ვინმე პენსიაში არ გავა, ან ვიღაცას კისერი არ მოტყდება. სანამდე უნდა ველოდოთ სხვის მწუხარებას, — აღნიშნა გორა ბეშტიანიშვილმა.

აქციაზე ტერიმინალის პროფკავშირების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უნდა

გაუმჯობესდეს შრომითი პირობები და ადმინისტრაციამ დროულად უნდა მოაგაგროს ტერიმინალის თანამშრომლების საამუშაო პრობლემები. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერიმინალი“ ოფიციალური განცხადება წერილობით გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ტერიმინალის თანამშრომლებთან შრომითი პირობების პრობლემების საკითხზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს, თუმცა, სწარმო შედგინა წევრით ასრულებს საქართველოს შრომითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

06ტმპრპმს0

ქიულო

ოქრუპილის ოქროს ფინიში

ტიუმინში ორ დღეს გრძელდებოდა ძიუდოსტა მასტერსი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც ცდიდნენ ძალებს. მათ ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც მსგავს ტურნირებში ჩვენი გუნდისთვის სარეკორდოა. პირველი ჯილდო ქართველებს ამირან პაპინაშვილმა მოუტანა: 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ერთი პაექრობა დათმო, სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუსთა ვეროპის ექს-ჩემპიონი ბესლან მუდრანოვი დაამარცხა. არადა, მიკერძოებული მსაჯობის გამო შეხვედრას თავიდან გაფრთხილებებით აგებდა. ამ წარმატებით მან მსოფლიო რეიტინგში მე-2 ადგილი შეინარჩუნა. ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) შარშანდელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ მურატ ხაბაჩიროვთან (რუსეთი) დამარცხდა, შემდეგ დამამშვიდებელში ევროპის ორგზის ჩემპიონი სირაზუდინ მაგომედოვი (რუსეთი) ბოლო ერთ თვეში უკვე მეორედ დაჯაბნა, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი კანადელი



ოლიმპიური პრიზორი ანტიუან ვალუა ფორტიე დაამარცხა. ვარლამ ლიპარტელიანი (90) ქვეჯგუფში გრიგორი სულეინი (რუსეთი) და შოპეი შიმოვადა

(იაპონია) ვაზარით იმსხვერპლა, თავად კი რუს კირილ დენისოვთან ერთადერთი გაფრთხილებით წააგო, თანაც მეექვსედ, თუმცა, დამამშვიდებლის ფინალში ეგვიპტელ ჰადემ აბდ ელ აკერის მტკიცეული ილეთით აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით მძიმეონოსანმა ადამ ოქრუპიშვილმა იყოჩაღა - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მან სამშობლოს ოქროს მედალი უძღვნა: ჯერ კუბელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზორი ოსკარ ბრისონი ჩამოცილა გზიდან, მერე პანამეიკული თამაშების სამგზის გამარჯვებული ბრაზილიელი ვალტერ სანტოსი დაჯაბნა (შარშან მას რიოს „დიდი სლემის“ გადაწყვეტი ორთაბრძოლა მოუგო), ფინალში კი მისი თანაგუნდელი - ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი რაფაელ სილვა შეუტოჭა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საქართველოს ნაკრებიდან შალვა ქარდავა (66), ზუბედა რეხვიაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე - 73), ლევან ნიკლაური (81), ზვიად გოგოჭური (90) და ირინე ლეონიძე (+78) პირველსავე წრეში დამარცხდნენ.

ლემსო ცინცაძე

კალათბურთი

აკადემიური დუბლი



მუზისსინებამ, არმიამ სუპერლიგის ორი უკანასკნელი გათამაშება მოიგო, სოლო წლეულს „ბრინჯაო“ მოიპოვა. ძალოვანთა ჰეგემონია შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა გააგრძელა, რომელმაც დირსეულად აიტაცა კოლეგათა ესტაფეტა და ბერძენი თავკაცის გეორგიოს კეცელიდისის ქართული დებიუტი „დუბლით“ აღნიშნა - ქვეყნის თასს ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედალი დაუმატა.

რიაში - 2:3 (დასკვნითი მატჩი - 80:86). როცა „აკადემიკოსთა“ წარმატებაზე ვსაუბრობთ, ალბათ მათი ტრიუმფის რეკვებტუც ღირს ყურადღების გამახვილება. ფორმულა მარტივია - შეიძინე რამდენიმე საშუალო დონის ამერიკელი მოთამაშე (მაგალითად: ვონი, რემონდი, არჩიბეკი, პრევიტი), რომლებიც ჩვენთან ვარსკვლავებით კიაფობენ, დაუმატე მათ აქაური კერკეტი კაკლები და ტიტულიც შენია. კი ბატონო, ამით უწყების სპორტული კოლექცია მდიდრდება, მაგრამ საკითხავია, რა ემატება ქართულ კალათბურთს?

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

ხუთგზის!



მერაზინ იტყვის, მიუნენის „ბაიერნმა“ წლეუანდელი ტრიუმფი არ დაიმსახურა. ბავარიული გიგანტი უკანასკნელი ოთხი სეზონის განმავლობაში მესამედ გაიგა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში და, სხვა თუ არაფერი, მსოფლიო ამიტომ იგო ღირსი ვეროპული

საკლუბო ფეხბურთის ოლიმპიუ ასულიყო. აღარაფერს ვამბობთ ბუნდესლიგის აშკარა უპირატესობით მოგებასა და გერმანიის თასის გათამაშებაში შესაძლო გამარჯვებაზე, სადაც რეკორდმაისტერი გამოკვეთილ ფავორიტად გამო-

იყურება „შტუტგარტთან“ მომავალ სატიტულო ბრძოლაში. სიმბოლურია, რომ თანამემულებთა „ბორუსიასთან“ ლონდონის საკულტო სტადიონ „უემბლიზე“ გამართული დაუვიწყარი სანახაობის ბედი აქამდე დათარსული მფრინავი ჰოლანდიელის არიენ რობენის უშუალო მონაწილეობით გადაწყდა, რომელმაც ჯერ მანჯუკინს გაახსენებინა ანგარიში, ხოლო ძირითადი დროის მიწურულს თავად გაიტანა ოქროს გოლი - 2:1. ალბათ, ვითარების ობიექტურად წარმოსაჩენად ბევრი ხაზს იტალიელი მსაჯის ნიკოლა რიცოლის არსებითი ხასიათის შეცდომას გაუსვამს, რომელმაც დორტმუნდელთა სასარგებლოდ პენალტის დანიშნისას ბავარიელები დაინდო და დანტე მინდვირიდან არ გააძევა, მაგრამ ამით საერთო სურათი არ იცვლება: „ალიანს არენის“ ბინადრებმა ჩემპიონთა ლიგაში მეხუთე აღზევებით ღირსული გაცილება მოუწყვეს წლეუანდელი ტრიუმფის სულისჩამდგმელ იუპ ჰაინკესს.

გიორგი შოთაძე

რეზი

„ლელო“ „არმია“ დაჯაბნა



საბარტმეილს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარულ გათამაშებას დიდი ხნის განმავლობაში „ლელო“ ლიდერობდა და ცხრილის ზედა საფეხური მსოფლიო ფინისსკენ დათმო. ამის მიუხედავად, მთავარ ფინალში ქვეყნის ჩემპიონ „არმიასთან“ დაბრისპირების შანსი შეინარჩუნა. წლეულს ეს გუნდები სამჯერ შეხვედნენ ერთმანეთს და ორჯერ „ლელომ“ გაიმარჯვა. ფინალური მატჩის პირველი ტაიმი ლელოელთა უპირატესობით წარიმართა. სანყის 15 წუთში მათ ორი საჯარიმო გაიტანეს და 6:0 დაწინაურდნენ. დიდი მცდელობის მიუხედავად, „არმიამ“ მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ჩემპიონები შესვენების შემდეგ საგრძ-

ნობლად გააქტიურდნენ: ცხრა წუთში ანგარიში სხვაობა შეამცირეს, მერე 10:9 დაწინაურდნენ, მაგრამ მატჩში გარდატეხის შეტანა მიიჩნეს ვერ შეძლეს: ირლანდიელი არბიტრის - დევიდ ვილკინსონის სასტვენამდე „ლელომ“ (ყიასაშვილი, გეგენავა, გუგავა, ცერცვაძე (ანდლულაძე 39, ზაალიშვილი 80), ნიუარაძე, ხმალაძე, კაჭარავა, გოგიშვილი, ბელქანია, პატარაია (სანიკიძე 47, ხიდუშელი 74), ნიკოლაშვილი (მინარიშვილი 77), ქოიავა, ე.სურგულაძე, დარასელია, ჭყიოძე, მწვრთნელი ლევან მისაშვილი) მეტოქეს ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება (16:10) და ჩემპიონობა მოიპოვა.

ნატა ნიზლაძე

ფარიკაობა

ჩემპიონის გზა ამერიკისკენ მიდის

ბას ულ უქმეებზე ქართველმა მოფარიკავეებმა ხმლითა და რაპირათი ქვეყნის ჩემპიონები და პრიზორები გამოავლინეს. შეჯიბრებაში ექვსი ქალაქის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. მოხალავე თეოდორა კახიანს აქამდე ოთხჯერ ჰქონდა მოპოვებული ეროვნული პირველობის ოქროს მედალი. შარშან მან ოჯახი შექმნა და აქტიურ სპორტს თითქოს თავი დაანება, მაგრამ განშორება ხანმოკლე გამოდგა - ისევ დაუბრუნდა საფარიკაო ბილიკებს, მით უმეტეს, რომ საბაბიც მიეცა: ამას წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პენსილვანიის შტატის სტიუტკოლეჯის უნივერსიტეტის მოფარიკავეთა გუნდი, რომლის მთავარ მწვრთნელს მოენონა კახიანის ფარიკაობა და ამერიკაში სასწავლებლად და სავარჯიშოდ მიიწვია. თეოდორა პრესტიჟულ უნივერსიტეტში ისწავლის უფასოდ, ამბობს ოსტატობას (საგულისხმოა, რომ ამ უნივერსიტეტში მწვრთნელად მუშაობენ სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზორი ვახტანგ იაგორაშვილი და გია აბაშიძე) და ამერიკის უნივერსიტეტებში სტიუტკოლე-

ჯის სახელით გამოვა, ხოლო საერთაშორისო სარბიელზე სამშობლოს სპორტულ ღირსებას დაიცავს. მოტივირებულმა კახიანმა საქართველოს ამ ჩემპიონატშიც იყოჩაღა - ნახევარფინალში ელენე დევსურაშვილს მოუგო - 15:7, გადამწყვეტ პაექრობაში კი ქრისტინე ნოზაძეს აჯობა - 15:5. მესამე ადგილებზე დევსურაშვილი და ელენე ნანობაშვილი (ყველა-თბილისი) გავიდნენ. მოხალავე ვაჟებში ჩემპიონობა შეინარჩუნა ბექა ზაზაძემ, რომელმაც ნახევარფინალში მიხეილ მარდაღიშვილს სძლია - 15:11, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი გიორგი გიორგაძე დაამარცხა - 15:9. მესამე ადგილები მარდაღიშვილსა და გივი მერკვილაძეს ერგოთ. რაპირაში საპრიზო ადგილები

ასე განაწილდა: გოგონები. 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ნუცა იაგორაშვილი, ლიკა ჯიჯეიშვილი (ორივე - თბილისი). ვაჟები. 1. არჩილ უგულავა (აჭარა), 2. ლუკა ლაღანიძე, 3. გიორგი გულაშვილი, სანდრო სიხარულიძე (ორივე - თბილისი).

ლაშა დიდი

სურბათზე: მარცხიდან - თეოდორა კახიანი, ელენე დევსურაშვილი, ბექა ზაზაძე, მიხეილ მარდაღიშვილი. მათა დანილიას ფოტო.

სუმი

მსოფლო ორ ჩემპიონს ჩამორჩა

იბარტნიბში დასრულდა პროფესიონალ სუმიოსტთა სუბერტურნირი - ნაცუ ბაზო, რომელშიც წაუგებლად გაიმარჯვა მონგოლმა ჰაკუჰომ. მან იაპონიის იმპერატორის თასი კარიერაში 25-ედ მოიგო და ლეგენდარულ ასაშორიუს გაუთანაბრდა. ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა 26 წლის თეიმურაზ ჯულელმა (გაგამარუ). 206-კილოგრამიანმა გოლიათმა 11 შეხვედრა მოიგო, და 4 წააგო. ამ შედეგით მას მსოფლო ჰაკუჰომ და კისენოსატომ გაუსწრეს. 25 წლის ლევან გორგაძისთვის (ტოჩინოშინი) ეს ტურნირი უილბლო გამოდგა: შეჯიბრება ორი მოგებითა და 13 მარცხით დაასრულა, რითაც თავისი ანტირეკორდი გაიმეორა.



გივი ბაბუა

ორმოცი

შოთა ოტიაშვილი



ზოგისთვის, ვისაც გაცნობიერებული არა აქვს, თუ რამხელა მადლია სიცოცხლე, მთელ ცხოვრებას ისე გაატარებს, არავითარ კვალს არ დატოვებს ამქვეყნად. არადა, ცოცხალ ადამიანს საშუალება აქვს, რომ უამრავი სიკეთის ქმნით ნათელი მომავალი გაუნადგოს თავის შთამომავლობას, რომელიც მუდამ ცხოვრების სურვილით მოიხსენიებს თავის კაცურკაცობით სამაყო წინაპარს.

სწორედ ასეთ წინაპრად წარმოგვიდგენია მომავალი ოტი-აშვილებისთვის ძვირფასი შოთა ოტიაშვილი, სიცოცხლის ტრფილი ქართველი კაცი, რომელსაც არც ერთი დღე არ უცხოვრია თავისი სანათესაოს, სამეგობროს, საახლობლოს უსიყვარულოდ.

ამიტომ არის, რომ გარდაცვალებიდან მეორმოცე დღესაც კი ამდენი ცრემლი და ამდენი გულისტკივილი ახლავს ამ ჩინებული ადამიანის ხსოვნას. ამიტომ არის, რომ შოთა ოტიაშვილის სახელს მუდამ თანამდევად გაჰყვება უამრავი ადამიანის სიყვარული.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ღმერთი დიდ ნათელში ამყოფებს ამ ბოროტების წინააღმდეგ სიკეთის გასამარჯვებლად მებრძოლ ვაჟკაცს.

არ გემშვიდობებით, რადგან შენი სული მუდამ ჩვენ შორის იტრიალებს, ძვირფასო შოთა.

გიორგი ბერიძე და ახლომეგობრები

სანთელი

შოთა ჯაოშვილი



გარდაიცვალა საქართველოს სატყეო კომპლექსის ღვანლმოსილი მუშაკი შოთა ჯაოშვილი.

შოთა ჯაოშვილის ძე ჯაოშვილი დაიბადა თბილისში, 1929 წლის 28 დეკემბერს. მან 1954 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი.

შ. ჯაოშვილიმ განვლო სატყეო საქმის პროფესიონალი მცოდნისა და პრაქტიკოსი ხელმძღვანელის ცხოვრების საინტერესო გზა. 1954-1959 წლებში იგი იყო თბილისის საავიჯო კომბინატის ცვლის ოსტატი, საამქროს უფროსი. 1956-1966 წლებში შ. ჯაოშვილი მუშაობდა საქართველოს სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტად, შემდეგ — განყოფილების გამგედ. 1966 წლიდან იგი თბილისის საავიჯო-სანარმოო გაერთიანება „განთიადის“ მთავარი ინჟინერია, ხოლო 1978-1979 წლებში მუშაობდა საქართველოს ხე-ტყის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანება „მერქანის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ.

სატყეო დარგის უნარიანი ხელმძღვანელისთვის შოთა ჯაოშვილიმა მასპინძალურად გამოავლინა 1979 წლიდან, როცა იგი გახდა საქართველოს ხე-ტყის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე, ხოლო 1985 წლიდან 1992 წლამდე მინისტრის პირველი მოადგილე.

შემდგომ წლებში შ. ჯაოშვილი ნაყოფიერ მუშაობას აგრძელებდა სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში — მთავარ სპეციალისტად (1992-1995 წ.წ.); საქართველოს მრეწველობის სამინისტროს შპს რესპუბლიკური გაერთიანება „საქტყეაგვიმრეწვის“ გენერალური დირექტორად (1995-1999 წ.წ.). 1999-2000 წლებიდან შ. ჯაოშვილი იყო მისივე ინიციატივით დაფუძნებული შპს „საქტყეაგვიმრეწვის“ თავმჯდომარე.

ბული შპს „საქტყეაგვიმრეწვის“ თავმჯდომარე, სატყეო მრეწველობის ლიცენზირებული ექსპერტი.

მაშინ, როდესაც სატყეო დარგს საქართველოში უმძიმესი პერიოდი დაუდგა, მიმდინარეობდა ეროვნული ტყეების განდალური განადგურების პროცესი, შ. ჯაოშვილი სიცოცხლის ბოლომდე, გასაოცარი თავდადებით ემსახურებოდა ეროვნული ტყის ფონდის შენარჩუნებისა და განვითარების კეთილშობილურ საქმეს. 2006-2011 წლებში ტყის დაცვის პრობლემებზე, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში, სატყეო დეპარტამენტსა და გარემოს დაცვის ინსპექციაში, შ. ჯაოშვილიმ წარადგინა სამი ვრცელი კრიტიკული მოხსენებითი ბარათი და 15 წერილობითი მიმართვა, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტროში — ორი მოხსენებითი ბარათი და 12 წერილობითი მიმართვა. იმედია, შოთა ჯაოშვილის თავდაზოგავი შრომა უკვალოდ არ ჩაივლის და მისი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება საქართველოს უნიკალური ეროვნული ტყეების დაცვა-განვითარებისათვის.

განსვენებული იყო შესანიშნავი მეოჯახე, მეუღლე, მშობელი, მეგობრებისა და კოლეგების უზომოდ მოყვარული პიროვნება. ბ-ნი შოთა ჯაოშვილის ღვანლი, მისი პიროვნული ღირსებები დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

გივი ვარნაძე, პეტრე დუნდუა, თინათინ უჩაიანი, ილია ჯანაშია, ილია ჯანაშია, გიორგი გორგოლაძე, გიორგი შაბუაშვილი, ნოდარ შაბუაშვილი, გივი შაბუაშვილი, ტრისტან ჩარბაძე, თამაზ ნილუსანი, ნუგზარ მახარაძე, პარიკა მინდელი, გიორგი მინდელი, შპსი მინდელი, სილაზ გიორგაძე, ნოდარ მინდელი, ანატოლი ჩხვირიანი, გურამ ცანავა, ანატოლი ცხომიანი.

ალიან-ჩალიანი

მღვდელმთავრების უაღრესი ბრალის დაბრუნების უაღრესი ბრალის

სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და წმ. იოანე-თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილიასთვის მღვდელმთავრების შეჩერების საკითხს საპატრიარქო მათთვის ბრალის დამტკიცების შემთხვევაში განიხილავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სასულიერო სემინარიის რექტორმა, პროტოპროსვიტერმა გიორგი ზვიადაძემ განუცხადა.

17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით არქიმანდრიტ ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იღუმენს იოთამ (ირაკლი) ბასილიას ბრალი შეს-ს თბილისის მთავარი სამართავლო ძველი თბილისის სამართავლო მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა 23 მაისს წაუყენეს. მათ მიმართ გამოძიება შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის, უკანონოდ და ძალადობით ხელის შეშლის ფაქტზე სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

სამართავლო 2012 წელს უმუშევრობის დონე უაღრესი

სამართავლოში უმუშევრობის დონე 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, 0,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15 პროცენტი შეადგინა, - ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

საქსტატის მონაცემებით, 2012 წელს, 2011 წელთან მიმართებაში, მოსახლეობის აქტიურობის დონე 1.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დასაქმების დონე - 1.4 პროცენტით.

აქტიურობისა და დასაქმების დონეები გაზრდილია როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ტიპის დასახლებებში.

საქსტატის ცნობით, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. 2012 წელს, 2011 წელთან მიმართებაში, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 4.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა - 2.8 პროცენტით.

ინტერპრესი



დედა მარინა ბიკაშვილი, მეუღლე თემურ მინაშვილი, დედა ნუნუკა ბიკაშვილი, მამიდა ზელა ბიკაშვილი, კობა ამირხანაშვილი, თამაზ ძნელაძე ოჯახებით, ნათესავები, მეგობრები, ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა ბაკაშვილი

პანაშვიდი 28, 29 V, 17 სთ. მისამართი: ალ. ჭავჭავაძის ქ. №9, 30 V, 13 სთ. საბურთალოს ამალბების ეკლესიაში. გამოსვენება ამავე ეკლესიაში იდან 30 V, 15 სთ.

თენგიზ, ჟანა უჩაიანიშვილები იუწყებიან უსაყვარლესი და უძვირფასესი უფროსი მეგობრისა და კოლეგის, უდიდესი პროფესიონალის, ქვეყნის ეკონომიკის გამორჩენილი სპეციალისტის და ორგანიზატორის, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელისა და მაგალითის

შოთა ჯაოშვილი

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პეტრე დუნდუა, ირაკლი თარხნიშვილი, სოსო მაქაცარია, გივი, გია სარალიძეები, დათო ბერძენიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სატყეო მრეწველობის ღვანლმოსილი მუშაკი, საქართველოს ლიცენზირებული ექსპერტი

შოთა ჯაოშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პეტრე, მაკრინე (მაკო), დავით დუნდუები, ქეთილო, რამაზ სარალიძეები, გოგი, ვასიკო კაჭარავები, ზენაბ ჩხენკელი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, უახლოესი მეგობარი და კოლეგა

შოთა ჯაოშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი კარგადიანი

ხალთმენილი გული

კიბიტის უნივერსიტეტის იაპონელმა გენეტიკოსებმა ქართველი მეცნიერის კონსტანტინე აგლაძის ხელმძღვანელობით ტანის უჯრედებისგან პირველად „გამოზარდეს“ ადამიანის ცოცხალი გული.

გენეტიკური მასალის წყარო — ტანის ინდუცირებული უჯრედებია. მეცნიერებმა შეძლეს დაედაგინათ ქიმიური ნივთიერება, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს მათი ტრანსფორმაციის მექანიზმი.

ყოველი ასი ინდუცირებული პროტოუჯრედიდან 80 გულის უჯრედი ხდება. ისინი თანდათანობით ერთმანეთთან და ქმნიან გულის კუნთის ქსოვილს. ისინი მუშაობენ თავისით, გარეგანი სტიმულატორების გარეშე: 50-70 დარტყმა წუთში.

„კონსტრუირებული გულის ქსოვილი გამოსადეგია ორი რამისთვის: ჯერ ერთი, მასზე ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ სხვადასხვა ნივთიერებათა ტესტირება და, მეორეც, ნაწილობრივი მარცხის დახმარებით გამოვიყენოთ ეს უჯრედები და „ზიანებულ“ გულში იმპლანტაციისთვის“, — გვითხრა კიოტოს უნივერსიტეტთან არსებული ინტეგრალური უჯრედოვანი მასალების კვლევის ცენტრის პროფესორმა კონსტანტინე აგლაძემ.

ეს არის დარღვევა არა მხოლოდ ტრანსპლანტოლოგიაში, არამედ ფარმაცევტიკაშიც: ასე შექმნილ ორგანოებზე შეიძლება გამოვცადოთ ახალი წამლები.



ამოქარი და შეინახე

როგორ შევინარჩუნოთ გული ჯანსაღად?

● იცოდეთ ზომა ყველაფერში: გულისთვის მაგნეზი ყველაფერი, რაც „ნამეტანია“. ერთდღე სტრესებს, გადაჭარბებულ ჭამას, ინტოქსიკაციას, უძილობას, გადაჭარბებულ გაბრძნობას სექსითა და სპორტით — მაშინ იმუნური სისტემა დაეხმარება ორგანიზმს გაიხანგრძლივოს ჯანმრთელობა.

● წელიწადში ერთხელ აუცილებლად გაიარეთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა. ამასთან, შეეცადეთ მონახოთ ექიმი, ვისაც ენდობთ და ვისაც თამამად შეგიძლიათ დაუხმავთ თქვენი შეკითხვები.

● აკონტროლეთ თქვენი არტერიული წნევა. 40 წლის შემდეგ სახლში უნდა გქონდეთ ტონომეტრი და რეგულარულად გაიზომოთ წნევა. ნორმისგან წნებისმიერი გადახრის დროს დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

● თვალყური ადევნეთ თქვენს წონას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ის კი არ „დახტოდეს“, არამედ იყოს ერთ დონეზე. იდეალურია შეინარჩუნოთ ის ფორმა, რომელიც ახალგაზრდობაში გქონდათ.

● იმოქმედეთ და გამოიჩინეთ — გულს უყვარს ჯანსაღი დატვირთვები და სრულფასოვანი დასვენება.

შვილები რობინზონ, ბორის სოფრომაძეები, რძლები დარეჯანი, ლალი, შვილიშვილები ავთანდილი, თეონა, ლევანი, ანანო, გიორგი, ქრისტინე, მარიკა, შეილთაშვილი კავშირის გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული ქალბატონი

მარიამ (სიალა)

მიქაუტაქე-სოფრომაძისა

დაკრძალვა 28 V, ტყეზულის რაიონი, სოფელი ძირიკანი.

საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი და ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა იუწყებიან, რომ 98 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ღვანლმოსილი ვეტერანი

მისილ ვასილის ქე ხარკიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ჩვენი კარგადიანი

მამბებში ქალებზე გაცილებით ადრე ბერდებთან და მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია. შეიძლება ამის გამოსწორება? 60 წლის ასაკში ჩვენს მამაკაცთა უმრავლესობის ორგანიზმი თავის ბიოლოგიურ ასაკთან შედარებით 5-6 წლით უფროსია. ასეთი სწრაფი „ცვეთა“ აისახება იმით, რომ ისინი ვერ შეეჩვივნენ გაუფრთხილდნენ თავს, ვერაფრით მანვე ჩვევები, ნაკლებად ზრუნავენ ჯანმრთელობისთვის. უწყვარტ დაღევა, გემრიელი საჭმელები, ასაკთან ერთად კი - წამონე-



ლვიდს. ზედმეტი ჭამა და დაუძლეველი სურვილი წამონევეს ტახტზე საბოლოოდ უღებს ბოლოს ამ ორგანოს: ინყება ღვიძლის სიმსუქნე, მას კი მოსდევს - მეტაბოლური სინდრომი: „მეტაბოლური დარღვევები არჩენს დაავადებათა მთელ კასკადს - მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტს, სისხლძარღვთა და რღვევებს, ჰიპერტონიას, ერექტიულ დისფუნქციას, წარუმატებლობათა მთელი კომპლექსით, რომლებიც ფსიქოლოგიურ პრესინგს ქმნიან. ჰიპერტონული დაავადება, როგორც წესი, მიმდინარეობს არც ისე მძიმედ, და ამავე მიზეზის გამო არ იკურნება“, - ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი-გასტროენტეროლოგი ევგენი სასი.

სწორედ 40 წლის ასაკში უნდა გაიაროს მამაკაცმა პირველი სერიოზული დისპანსერიზაცია. მაგრამ იმისთვის, რომ მან სერიოზულად მოკიდოს ხელი პროფილაქტიკას, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ვაცნობოთ მას, თუ სად შეიძლება მიგვიყვანოს უწყვარტდებობამ საკუთარი ჯანმრთელობისადმი.

60 პლუსი

მს არის მეტაბოლური და სისხლძარღვთა რისკების რეალიზაციის ასაკი. იგრძნობა ფიზიკურ და ემოციურ ძალთა უკმარისობა, განსაკუთრებით მათში, ვინც ქალაქად ცხოვრობს. ამ წლებში უკვე გვითამაშებს გული, არ არის იშვიათობა ჰიპერტონიის ორგანული გამოვლინებანი, ბევრს რამდენიმე ინფარქტც კი აქვს გადატანილი, ზოგი კი აღარცაა ამ ქვეყნად. ყველაზე ხშირი დიაგნოზებია - დიაბეტი, ნიკრისის ქარი, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა. და, რასაკვირველია, ღვიძლის ცხიმოვანი დაავადება ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების, გადაჭარბებული კვებისა და ჰიპოდიამიების გამო. ყველაფერი მწვავედ იმით, რომ მამაკაცებს არ უყვართ ოფიციალურ ექიმებთან სიარული, ურჩევნიათ იმკურნალონ ალტერნატიული მეთოდებით. შედეგად ძლიერი სქესის წარმომადგენელთა შოკის-მომკვრელი რაოდენობა ილუპება მწვავე კორონარული სინდრომის ან მიოკარდიუმის ინფარქტით, ამბობს ევგენი სასი.

გამოსწორების გზა

ბრძანებს დაბერების მოდიფიცირებული ფაქტორები. ესე იგი, ისინი, რომლებსაც შეეცვალა შეგვიძლია და უნდა შევცვალოთ კიდეც, რათა მამაკაცებს ჰქონდეთ შესაძლებლობა იცოცხოლონ მათთვის გენეტიკურად განსაზღვრულ ვადამდე ან თუნდაც მიუახლოვდნენ მას. და ეს ფაქტორები შეგივგანოთ ცხოვრებაში ბავშვობიდანვე, როდესაც ბიჭის ორგანიზმში ჯერ კიდევ არ არის ბევრი ტესტოსტერონი და ის ჯერ კიდევ უსმენს დედას.

„ჩვენს ურბანისტურ საუკუნეში ყველაზე მნიშვნელოვანია მოვასდინოთ რისკის იმ ფაქტორებს ნიველირება, ჩვენს ცხოვრებაში ქალაქს რომ შემოაქვს, - ჰიპოდიამიის, არასწორი კვების, გაბინძურებული ჰაერისა. ამ პირობებში, უწინარეს ყოვლისა, იტანჯება ღვიძლი, რომელმაც უნდა მოახდინოს ჩვენი სისხლის გაფილტვრა, გაასუფთაოს იგი ტოქსინებისგან“, - მიანია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ელენა ვოკს.

ჯანმრთელობის აღდგენის პროგრამა არაა ძნელი შესასრულებელი.

საჭიროა:

- საკვების კალორიულობა შევამციროთ 1700-2000 კილოკალორიამდე დღე-ღამეში;
● შევამციროთ ცხიმის მოხმარება 10-20 გრამამდე დღე-ღამეში;
● შევამციროთ რაფინირებული, ადვილად ასათვისებელი, ნახშირწყლებით მდიდარი საკვები;
● ყოველდღიურად მივირთვათ სულ ცოტა 500 გრამი ბოსტნეული და ხილი, რომლებიც მდიდარია მცენარეული უჯრედებით:
● ვიმოძრაოთ რაც შეიძლება მეტი;
● უარი ვთქვათ ალკოჰოლზე;
● მივიღოთ სტატინები, ვიტამინი E, კალციუმის პრებარატები, პოლივიტამინები.

როგორ ხარ, ალაშ?

ეს სუსტი კლინიკი სქესი

ნენ ტახტზე მუცლით ზევით. არც თვატრებსა და კონცერტებზე სიარული უყვართ.

ასაკი და რისკი

რამდენადმე უნდა იყო, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ხელს უშლის ტესტოსტერონი, ის ჰორმონი, რომელიც მათ მამაცად და ვაჟაცად აქცევს. სწორედ ის განსაზღვრავს მათ ფსიქოლოგიურ თავისებურებასა და ქცევას. ჩივილს ჯანმრთელობაზე მამაკაცები აღიქვამენ, როგორც სისუსტის გამოვლინებას. ამიტომ კლინიკაში ისინი მხოლოდ უკიდურესმა გაჭირვებამ შეიძლება მიიყვანოს, როდესაც დაავადება საკმაოდ მიშვებულია. ამ დროს რისკები მამაკაცს ყოველ ასაკში ჰყავს ჩასაფრებული, ახალგაზრდობაშიც კი. და ამ რისკების შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეს გვერდით მყოფმა ქალმა - დედამ, დამ, ცოლმა... ქალში, როგორც დედისთვის, მისი საოჯახო ბედნიერების მფარველისთვის, მზრუნველობა ხომ თავად ბუნებამ ჩანერგა. შემთხვევითი როდია, რომ ოჯახის მამაკაცები უფრო ჯანმრთელები არიან და უფრო დიდხანსაც ცოცხლობენ, ვიდრე ძვალრბილში გამჯდარი ბერბიჭები.

20 პლუსი

ამ ასაკში მამაკაცებს აქვთ ისეთი შეგრძნება, რომ სიცოცხლე უსასრულოა და ჯანმრთელობა ამოუწურავი, და ისინი ხელგაშლილად ფანტავენ მათ, არც ფიქრობენ შედეგებზე. აქტიური მამაკაცური ცხოვრების პირველ ათწლეულს თანახლავს სხვადასხვაგვარი ტრავმა, ქრონიკული უძილობა, მუშაობა ქანცის მიხდამდე და უხვი სმები, რაც ორგანიზმის ახალგაზრდობისა და ჯერ კიდევ დაუხარჯავი რესურსების გამო, როგორც წესი, უშედეგოდ გადაის.

40 პლუსი

ორმოცს ოდნავ გადაცილებულ მამაკაცებს საშუალო ასაკის კრიზისი უდგებათ. მის ფონზე გაჩენილ დეპრესიას ბევრი ჩვენი თანამემამულე „კურნავს“ ალკოჰოლით - იგი კვლავ საუკეთესო ანტიდეპრესანტიად ითვლება. ბუნებრივია, ეს აზიანებს

ცინცხალი ანკლოტაზი

- ბავშვებში ახლა მოგიყვებით ზღაპარს ქალიშვილზე, - ეუბნება მასწავლებელი მოსწავლეებს.
- ქალიშვილზე? - გაოცებულ ბავშვებს თვალები გაუფართოვდათ.
- მაგრამ ეს ხომ ზღაპარია, ბავშვებო!
- ის თქვენი ცოლია თუ ვინ?
- თუ ვინ.
- მისი იგი, მაინც დაქორწინდი მასზე?
- ჰო.
- როგორ მოხდა ეს?
- მან სიკვდილს გადა-



მარჩინა, როდესაც მამამისს ჩემს მოკვლაზე ხელი ააღებინა.

- მილიარდერი დიუპონი დღეში მხოლოდ ხუთი წუთით აძლევდა თავის თავს ცოლთან დალაპარაკების უფლებას და ასე წელიც ამიტომ იცოცხლა, - ეუბნება ქმარი ცოლს.

- როგორც ჩანს, დიუპონი ჭკვიანი კაცი იყო, რაკი მის ცოლს მხოლოდ ხუთი წუთი ჰყოფნიდა დარბაზისთვის. მე კი მთელი დღე მიჩინებდა მასწავლი უამრავ რამეს, მაგრამ არც ფული გაქვს და არც ჯანმრთელობა.

მშველ დილით გაგვიფარ გაღვიძების სუთ სტაიას უარყოფა, გაბრაზება, ვაჭრობა, შერიგება, ყავა.



ჩვენი პრესლაიჯისტი

გუშინაური ვახუსედიანი



სააკაპშილი ზოპირას განირობს?

მბნო მერაბიშვილის დაკავების დღეს პოლიტიკურ კულუარებში ითქვა, რომ სააკაპშილია შეიძლება გიგა ბოკერიას გადაყენების გადაწყვეტილება მიიღოს. მართალია, ეს ინფორმაცია ამ ეტაპზე ოფიციალურად არ დასტურდება, მაგრამ საქმეში ჩახედულნი ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ სააკაპშილი უშიშროების საბჭოს მდივანს აუცილებლად განირობს და, იმასაც ამბობენ, რომ მის ადგილს გია ხუხაშვილი დაიკავებს.

„მისია“

„რისაუბლიკელი ივანიშვილს მალულად ეპრკვიანს“

- მიიჩნევენ სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე, - თუ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე გაიმარჯვებს, ეს ოცნებისთვის კარგი იქნება. მისი ჩამოცილება პოლიტიკიდან არის დანაშაული, რადგან სხვა ასე პრინციპული მებრძოლი და მოაზროვნე ადამიანი მე არ მეგულება. ეს გააკეთეს რესპუბლიკელებმა, რომლებიც მალულად ებრძვიან ივანიშვილს და მალულად უდებენ კვანტებს, რაც მალე გამოიყვანდება.

„ახალი თაობა“

რუსი ბალსა და ზუგდიდს შორის მუშაობს კავშირს ახსოვანს

ბალის რაიონში ახალი გამშვები პუნქტების - ნაბაკვეი-ხურჩისა და ოტობაია-ორსანტის გახსნას 2 რადარის დაყენება მოჰყვა, რის გამოც გალსა და ზუგდიდს შორის კავშირი გაძნელდა. გზების ოფიციალურად გახსნის პარალელურად აფხაზურ „პას-პორტსა“ და დე ფაქტო მილიციის მიერ გატეხულ სპეციალურ საშვებზე მოთხოვნაც გამყავდა.

„რეზონანსი“

თავდაცვის მინისტრი ირაკლი სისიაშვილი განცხადება?

შპრპლსმობის წევრის ირაკლი სესიაშვილის აზრით, - თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მცირე პერიოდში მნიშვნელოვანი რეფორმები გახსნორციელა, მისი ინიციატივით პარლამენტში შევიდა პროექტი, რომლითაც ბიუჯეტის კონტროლის ახალი მექანიზმი იქნება შემუშავებული... რაც შეეხება კულუარულ ჭორებს, ჩემი თავდაცვის მინისტრად დანიშნვის შესახებ, ვერაფერს ვიტყვი, ირაკლი კარგი მინისტრია.

„ძრწინა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორი ალექსი ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24.